ყოველთვიური ბეჭდვითი, „ელექტრონული" ფორმით

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№54 (949) 26 - 27 მაისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

გვ. 7

კოტე გოგელიასა და სააკაშვილ-კეზერაშვილის საიდუმლო შეხვედრა და 12-მილიონიანი გარიგება

26 მაისი დიდი ლაღაფის დღე!

გვ. 3

რა შეღავათებით ისარგებლებენ მეწარმეები სახელმწიფო პროექტის – „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში

გვ. 5

შალვა ფიფია

„სახელმწიფომ ისეთი გარემო უნდა შექმნას, ბიზნესი გაკეთდეს!"

„სასულიერო პირების ნაწილი „მეხუთე კოლონაა"

ოლეგ პანფილოვის ნაციონალური პროგნოზები

გვ. 4

გულბაათ რცხილაძე: „ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის!"

გვ. 6

აფინანსებს თუ არა პუტინი და რეალურად რას ემსახურება ევრაზიის ინსტიტუტი

დღეს 26 მაისია — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

1917 წელს, რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. პარალელურად, საქართველოში ეროვნული საბჭო შეიქმნა, რომელმაც ქვეყნის მართვა საკუთარ თავზე აიღო. 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს დადგენილებით, საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს.

1918 წლის 26 მაისსვე მიღებულ იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამია: **„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მე-18 საუკუნის დასასრულს, ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო, საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ, რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია... დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით, ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს: ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა; საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა; საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს, საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი — მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.“**

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა სცნეს, არსებობა სამი წლის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა.

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს შეძლო.

წელს, 26 მაისის სადღესასწაულო ღონისძიებები საქართველოს 12 ქალაქში აღინიშნება. მართალია, წელს, შარშანდლის მსგავსად, სამხედრო აღლუმი არ გაიმართება, მაგრამ სამაგიეროდ, პირველი გიმნაზიის წინ, „ყვავილების ზეიმის“ ღონისძიება მოეწყობა, ოპერის წინ კი მხატვრები განლაგდებიან; პროსპექტზე პანტომიმისა და სხვადასხვა თეატრის მსახიობები ივლიან. მოძრაობის თეატრი მცირე პერფორმანსებს დადგამს... რუსთაველის გამზირზე განთავსდება სამინისტროების კარვები, რომლებიც საინფორმაციო და გასართობი კუთხით იქნებიან წარმოდგენილი... სადღესასწაულო ღონისძიებების ბოლოს შესრულდება საქართველოს ჰიმნი და იქნება ფოიერვერკი.

„ვერსია“ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის 96-ე წლისთავს!

შორია კოლიზეუმამდე ანუ რა ღირს სიბერე საქართველოში

გიორგი იაშვილი

არცთუ დიდი ხნის წინ, ქართულ ტელესივრცეში საინტერესო პროპაგანდა დაიწყო — „ჩვენც დავბერდებით“: ცნობილი სახეები თუ სახელები ცდილობდნენ აეხსნათ, რომ სიბერე არავის აგვცდება და, ამიტომ მოხუცებს პატივი უნდა ვცეთ. ეს თემა სოციალურ ფენაზე იყო გათვლილი ანუ მოხუცებისადმი პატივისცემას რიგით ადამიანებს გვთხოვდნენ. არადა, მთავარია, ხელისუფლება როგორ პირობებს შეუქმნის საპენსიო ასაკში მყოფ ადამიანებს და რამდენად იქნება მათი სიბერე ტკბილი.

ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: საშოვარს გადაგებული გათითოკაცებული, ყოფილი ერი“...

ამას წინათ, ერთმა მოხუცმა თქვა, ცხოვრებას რომ ვუყურებ, მთელი ახალგაზრდობა უნიტაზისთვის მიმუშავია, მეტი არაფერი შემრჩა და ახლაც, მე და უნიტაზი დავრჩით — გარდაცვალების შემდეგ, ისევე ჩავირეცხები ამ ქვეყნიდან, როგორც მანამდე ბევრი ჩემნაირიო.

4 წლის წინ, მცხეთაში, შვეიცარიელ ცოლ-ქმარს შევხვდი, 55 წელია, ერთად ვართო, მითხრეს მოხუცებმა და ამ თარიღის აღსანიშნავად, თურმე, სახელმწიფომ ორკვირიანი მოგზაურობა დაუფინანსა და ისიც უთხრა, რომელ ქვეყანასაც აირჩევთ, იქ გაგიშვებთო. შვეიცარიელებმა საქართველო აირჩიეს და არც ნანობდნენ, მაგრამ ერთი ეგ თქვეს, ამდენი გაჭირვებული ადამიანის ყურება გვღლის და გვთრგუნავსო. რა გამოდის? — შვეიცარიელები ითრგუნებიან, ჩვენ კი თითქოს შევეჩვიეთ ყველაფერ ამას, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თითქოს ასეც უნდა იყოს და ხმასაც არავინ იღებს. ისე შევეჩვიეთ, რომ ხელისუფლებას პენსიის მომატებასაც აღარავინ სთხოვს. ხელისუფლება კი არ თუ ვერ ხვდება, რომ საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტი პენსიონერია, რაც რეალურად, ნახევარ მილიონზე მეტი საარჩევნო ხმაა, მაგრამ არჩევნების წინაც კი, პენსიის მომატებას არავინ პირდება. ეს მოგზაური შვეიცარიელები მაშინ გამახსენდა, როცა ამას წინათ, ერთ-ერთმა ქართველმა პენსიონერმა მითხრა, მთელი ცხოვრება იმაზე ვოცნებობ, კოლიზეუმი ვნახო, მაგრამ ზუსტად ვიცი, ამ სურვილზე ფიქრით ამომძვრება სულიო...

რითიც დავიწყე, იმით დავასრულებ: პროპაგანდა „ჩვენც დავბერდებით“ მართლა რიგით ადამიანებზეა გათვლილი, თორემ ძლიერნი ამა ქვეყნისა პენსიაზე არც კი ფიქრობენ იმიტომ, რომ უბრალოდ, არ სჭირდებათ და წლების განმავლობაში, პოლიტიკითა და პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების დაპირებით, უზრუნველი სიბერის კაპიტალს ქმნიან.

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით სამი პირი დააკავეს

შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე, მერვე განყოფილების და ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე, ბათუმში და გონიოში მდებარე სასტუმროების დროებითი მფლობელები, თურქეთის მოქალაქეები – 1946 წელს დაბადებული ჰასან ბ, 1980 წელს დაბადებული ორჰან ქ. და საქართველოს მოქალაქე, 1966 წელს დაბადებული ზორბეგ დ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისთვის სასტუმროების ნომრებს სისტემატიურად უთმობდნენ.

სამართალდამცავებმა სასტუმროებში მომუშავე პირები და ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ „ბიოს“ შეძენა-შენახვის ფაქტი გამოავლინა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გოჩა ბ. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით რუსთავში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 6,5731 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა კანაბიომიმეტურად მოქმედ ქიმიურ ნაერთთა კლასს მიეკუთვნება.

გამოძიება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

კოტე გოგელიასა და სააკაშვილ-კეზერაშვილის საიდუმლო შეხვედრა და 12-მილიონიანი გარიგება

გიორგი იაშვილი

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე... 26 მაისი მერაბ კოსტავას დაბადების დღე... 26 მაისს სისხლის წვიმებიც ახსოვს და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, გულწრფელი ქართველების თავგანწირვაც... თუმცა, ამ სიყვარულის პირისპირ დიდი ღალატიც ახსოვს... შურიც, გაუტანლობაც, „ჩაშვებაც" და ლაჩარი ქართველების ცრუ პატრიოტიზმიც... თუმცა, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ქართველებისთვის საკრალური 26 მაისი 2011 წელს ნაციონალურმა ხელისუფლებამ გაგვითენა, როცა ნინო ბურჯანაძესა და მის მხარდამჭერებს რუსთაველზე სისხლიანი სასაკლაო მოუწყო...

ძნელია, ოდესმე დაივიწყო წვიმიან, ლამპიონებით ნახევრადგანათებულ პროსპექტზე დაპატიმრებული, ხელბორკილებდადებული, დასისხლიანებული, ნაცემ-ნაბეგვი ათასობით ქართველის უწყვეტი ჯაჭვი, შინდისფერ და შავ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ნიღბიანი „ზონდერების" კოლონა რომ მიაცილებდა... 1989 წლის 9 აპრილის, 1991 წლის ძმათამკვლელი სამოქალაქო, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მომსწრე ქართველებმა კარგად ვიცით, რა გრძნობაა, როცა უსუსური და უძლური ხარ ბოროტებისა და მოძალადე სახელმწიფო მანქანის წინაშე... თუმცა, არ ვიცით, როგორ ცხოვრობენ ის ქართველები, უცხოეთის ფეშენებელურ ვილებში თბილად რომ მოკალათებულან, საკუთარი მილიონების თვლით არიან დაკავებულნი და სამშობლო, ქართველი ერი, ქვეყნის სასიკეთოდ საქმის კეთება მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა ნამდვილი ვაჟკაცების პირველ მნკრივს ძმათა სასაფლაოზე გაისტუმრებს და საქმის ნახევარი უკვე გაკეთებულია...

„ჩემი ექვსი წლის ბიჭი ხშირად მეკითხება საქართველოზე. მე მას ქართულ ლექსებს ვუკითხავ, ვეუბნები, რომ აუცილებლად უნდა ილაპარაკოს ქართულად. მასაც უნდა, რაც შეიძლება მეტი იცოდეს საქართველოზე. აი, აქ კი დილემის წინაშე ვდგები — რა ვუთხრა ბავშვს, ლამაზ, გმირულ წარსულზე ვუამბო და დღევანდელი საქართველო შევაზიზღო? არ მინდა, ჩემს ქვეყანაში, ჩემი შვილის სამშობლოში, ამორალური მდგომარეობა იყოს!" — აცხადებს კოტე (კონსტანტინე) გოგელია 2011 წლის 16 მაისს.

„ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ოქრუაშვილთან, ეროსი კიწმარიშვილთან, ლევან გაჩეჩილაძესა და სოზარ სუბართან ერთად, საქართველოს ნაციონალური ხელისუფლებისგან გათავისუფლებას გვპირდებოდა: **„გპირდებით, ძალიან მოკლე ხანში გავუშვებთ ამ ხელისუფლებას... ჩვენ არ დავჯერდებით ამ არანორმალური ხალხის ხელისუფლებიდან მხოლოდ წასვლას!"** — და „მრისხანების დღესა" და „კამაზების რევოლუციას" აანონსებდა!

„25-ში ჩამოვალ, 26 მაისს ვიდგები ჩემი ხალხის გვერდით და პირობას ვაძლევ ჩემს ხალხს, ჩემს საყვარელ ხალხს, 26 მაისს ჩვენ ჩავიბარებთ აღლუმს ამ ნაძირალების გარეშე!" — ეს 2011 წლის 22 მაისია, თუმცა ყველამ, ვინც იმ ავბედით დღეს რუსთაველზე იყო, შესანიშნავად იცის, როგორ განვითარდა მოვლენები — არც ირაკლი ოქრუაშვილი და, მით უმეტეს, არც კოტე გოგელია თბილისში არ გამოჩენილა. ხოლო როცა მისი „საყვარელი ქართველი ხალხი" ნაციონალურმა ხელისუფლებამ სისხლის წვიმაში აბანავა და პარლამენტის წინ სასაკლაო მოუწყო... მისთვის არავის უკითხავს, სად იყო და რატომ არ ჩაიბარა „აღლუმი იმ ნაძირლების" გარეშე, რომლებიც ხელისუფლებას მხოლოდ 1 წლის შემდეგ, 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩამოაშორა ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ". საინტერესოა, რა უთხრა მაშინ თავის 6 წლის ბავშვს კოტე გოგელიამ საქართველოს გმირულ წარსულზე ანდა რას ეუბნება დღეს, 3 წლის შემდეგ, სად ვიყავით მაშინ და რას ნიშნავდა ურაპატრიოტული ბაქი-ბუქი — **„მე ფული ნაშოვნი მაქვს და ამ ფულს დავხარჯავ საქართველოს სასიკეთოდ!"**

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ნაციონალები „ქართულმა ოცნებამ", ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, ხელისუფლებას ჩამოაშორა, კოტე გოგელია კი 2013 წელს, ერთადერთხელ გამოჩნდა საჯაროდ თბილისში — ჟურნალისტებმა იგი მთავარ პროკურატურასთან დააფიქსირეს, თუმცა რა საქმესთან დაკავშირებით სტუმრობდა უწყებას, ამაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. „ვერსიის" კონფიდენციალური წყარო აცხადებს, რომ კოტე გოგელიამ, რომელიც, ქართული და რუსული მედიის ინფორმაციით, მდიდარი ქართველების რეიტინგში 50-მილიონიანი კაპიტალით ფიგურირებს, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის გუნდთან ურთიერთობების დალაგება სცადა და დაალაგა კიდეც. შესაძლებელია, ეს ვერსია ლოგიკურიც იყოს, რადგან გოგელიას მეუღლე მაკა ასათიანი ტელეკომპანია „მაესტროს" მფლობელია და, ბუნებრივია, ნებისმიერი პოლიტიკური გუნდი შეეცდება, ურთიერთობები რაღაც ფორმით გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს, თუმცა ვითარება ახალ ხელისუფლებასთან მას შემდეგ დაიძაბა, რაც ცნობილი გახდა ერთი პოლიტიკური მოლაპარაკების შესახებ —

გერმანიაში კოტე გოგელია დავით კეზერაშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. წინასწარი ინფორმაციით, საუბარი შეეხებოდა 12-მილიონიან ფინანსურ გარიგებას, საიდანაც 2 მილიონი დოლარი დავით კეზერაშვილმა კოტე გოგელიას უკვე გადაუხადა, ხოლო დანარჩენი 10 მილიონი მოგვიანებით აუნაზღაურდება.

კონფიდენციალური წყაროს ვერსიით, არ არის გამორიცხული, ეს ინფორმაცია სიმართლესთან ახლოს იყოს, რადგან კოტე გოგელიას ბიზნესს რუსეთში გარკვეული პრობლემები შეექმნა და ათეულობით მილიონი ვალი დაუგროვდა, თუმცა ირაკლი ოქრუაშვილის გორული ამბიციებისა და სოზარ სუბარის საკმაოდ შელახული იმიჯის ფონზე, კოტე გოგელიას პოლიტიკურ გააქტიურებას, სავარაუდოდ, შემოდგომაზე, სექტემბრისთვის უნდა ველოდეთ. ვერ გეტყვით, რა ფორმით შევა კოტე გოგელიას პოლიტიკურ გეგმებსა და სქემაში ტელეკომპანია „მაესტრო" და შევა თუ არა საერთოდ, მაგრამ შესაძლებელია, სწორედ ეს გათვლა ჰქონდეთ სააკაშვილ-კეზერაშვილს. „მრისხანე შემოდგომას" და ხელისუფლებაში რამდენიმე თვეში დაბრუნებას ნაციონალები დიდი ხანია აანონსებენ. ამის საფუძვლად კი „ქართული ოცნების" შეუსრულებელ დაპირებებს ასახელებენ... თავად კოტე გოგელია, რომელსაც რუსულ ბიზნეს და პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ დიდი გავლენა აქვს, 2011 წლის 16 მაისს, „კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში ქართულ ოპოზიციურ სპექტრს ასე აფასებდა: **„ორიოდე სიტყვას ოპოზიციურ სპექტრზეც გეტყვით. ბევრისთვის პოლიტიკა ბიზნესია. ამ ადამიანებს თავიანთი ქვეყანა არ უყვართ, სამშობლოს სიყვარულით არაფერს აკეთებენ. მათ მხოლოდ ფული უნდათ. მათგან ბევრი ხელმოცარულია. ვერც ერთ საქმეში ივარგა, პოლიტიკაში წასვლა, პოლიტიკით ფულის შოვნა გადაწყვიტა. ჩვენ შორის ეგ განსხვავებაც არის — მე ფული ნაშოვნი მაქვს და ამ ფულს იქით დავხარჯავ საქართველოს სასიკეთოდ".**

როგორც ჩანს, გოგელიას ფული ამჯერადაც ნაშოვნი აქვს (ღმერთმა ბევრი მისცეს). მეტიც, აქვე ამბობს, **„მსოფლიო მასშტაბით, ქართველი ბიზნესმენების ხელში დღეს 75 მილიარდი დოლარია აკუმულირებული. ამ კაპიტალის მფლობელებს ძალიან უყვართ სამშობლო და უნდათ მონაწილეობა მის აღორძინებაშიო".** დღემდე ამ მილიარდების მფლობელები მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას აბრალებდნენ, „მდიდარი ადამიანები ეზიზღებათ და ფულს არ გვადებინებენ საქართველოში", თუმცა რაღაც არ მახსენდება, სამშობლოზე შეყვარებული რომელიმე ბიზნესმენი, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, საქართველოში ჩამოსულიყო და ნაციონალების მიერ დანგრეულ და გაპარტახებულ ქართულ ეკონომიკაში, თუნდაც 1 მილიარდი ჩაედო. ალბათ, გოგელიასა და 75 მილიარდი დოლარის მფლობელი ქართველი ბიზნესმენების აღორძინებულ საქართველოში, მათ გაკეთებულ „სასიკეთო" საქმეებს შემოდგომაზე დავითვლით, მანამდე კი... 26 მაისია — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღე!

ვერსიანიუსი

პრემიერ-მინისტრი ალავერდის მონასტერს ესტუმრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი რეგიონული ტურნეს ფარგლებში ალავერდის მონასტერს სტუმრობდა. ირაკლი ღარიბაშვილს მეუფე ალავერდელმა უმასპინძლა, მონასტერი და მის ტერიტორიაზე არსებული მარანი დაათვალიერებინა.

მეუფემ მთავრობის მეთაურს მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ მეურნეობასა და მეფუტკრეობაზე მიაწოდა ინფორმაცია. ირაკლი ღარიბაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მიღებული ნაყოფი სრულიად ახალ სტანდარტს ამკვიდრებს ქართულ ტრადიციულ წარმოებაში და ადამიანებსაც დამატებით სტიმულს აძლევს.

მთავრობის მეთაური მონასტრის ტერიტორიაზე შეკრებილ სასულიერო პირებსა და მრევლსაც გაესაუბრა და აღნიშნა, რომ ქართული წარმოების აღორძინება ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამგვარი მეურნეობები მისაბაძი მაგალითის როლს ასრულებს.

ალავერდის მონასტერში ასევე იმყოფებოდნენ კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია და სან-მარინოს საპატიო კონსული.

„ინტერპრესნიუსი"

მიხეილ უკლებას ბულგარეთის პირველი ხარისხის უმაღლესი ორდენი გადაეცა

უკრაინაში საქართველოს ელჩმა, ბულგარეთის პრეზიდენტის, როსენ პლევნელიევის სახელით, ბულგარეთის პირველი ხარისხის უმაღლესი ორდენი „სტარა პლანინა" მიიღო, ბულგარეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. ორდენი უკლებას უკრაინაში ბულგარეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კრასიმირ მინჩევმა გადასცა.

ელჩმა ბულგარეთის პრეზიდენტსა და მთავრობას ბულგარეთში მისი ოთხწლიანი მუშაობის მაღალი შეფასებისთვის მადლობა გადაუხადა. თავის გამოსვლაში ბულგარეთის ელჩმა კრასიმირ მინჩევმა აღნიშნა, რომ 21 მაისს ესაუბრა ბულგარეთის პრეზიდენტს, რომელმაც სთხოვა, საქართველოს ელჩისთვის გულითადი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები გადაეცა. ორდენის გადაცემის ცერემონიას საქართველოსა და ბულგარეთის საელჩოების დიპლომატები ესწრებოდნენ.

„ინტერპრესნიუსის"

„სასულიერო პირების ნაწილი „მეხუთე კოლონაა“

რუსუდან შელია
557-100-768

25 მაისს, უკრაინაში, აღმოსავლეთ ოლქებში ანტიტერორისტული ოპერაციის პარალელურად, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რუს სამხედროებს უკრაინის ტერიტორიის დატოვება უბრძანა, უკრაინელებს არჩევანის გაკეთება მაინც პროვოკაციების ფონზე უწევდათ — შეიარაღებულმა პირებმა დონეცკში საარჩევნო უბანი დაარბიეს, სლავიანსკის მახლობლად კი იტალიელი ჟურნალისტი და მისი თარჯიმანი მოკლეს. რა სცენარით განვითარდება უკრაინაში მოვლენები და როგორ აისახება საქართველოზე? — „ვერსიას“ ჟურნალისტი ოლეგ პანფილოვი ესაუბრა.

ოლეგ პანფილოვის ნაციონალური პროგნოზები

— უკრაინის მთავარი პრობლემა ისაა, რომ პოლიტიკური ვითარება ყოველგვარ საზღვრებს გასცდა... მართალია, მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რევოლუცია სამ პარტიას ერთად მოეხდინა. რევოლუციის ავტორი, როგორც წესი, ერთი იდეოლოგია და ერთი ლიდერია ხოლმე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ ლიდერს განსხვავებული შეხედულებები აქვს, უკრაინამ თავი ერთიან სახელმწიფოდ იგრძნო. მთავარია, ხალხმა გაიაზრა, რომ პუტინი აგრესორი, ოკუპანტი და დიქტატორია! რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთთან ცხოვრებაზე ოცნებობენ, დასავლეთმა არჩევნები ლეგიტიმურად გამოაცხადა.

— პიოტრ პოროშჩენკო საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების რეალურ კანდიდატად თავიდანვე დასახელდა, მაგრამ უკრაინის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანას მოახერხებს?

— პოროშჩენკო ყველა მხარეს აწყობს, პირველ რიგში კი, დასავლეთს. იგი ინგლისურად კარგად საუბრობს, არ აქვს ცუდი რეპუტაცია, რადგან საკმაოდ სერიოზულ ბიზნესმენად ითვლებოდა. მისი კანდიდატურა უკრაინელებისთვისაც მისაღებია — ცენტრალური უკრაინიდანაა და ამ დაძაბულ ვითარებაში გარკვეულ ბალანსს ქმნის. ბუნებრივია, დასავლეთი პროცესებში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს, რადგან მისი მიზანია, პუტინი დაამარცხოს, უკრაინა კი თავისუფალ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს.

— უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ყველასგან მოულოდნელად, რუსმა სამხედროებმა უკრაინის ტერიტორია დატოვეს. პუტინი ძალას კარგავს თუ რუსეთისა და დასავლეთის პირველი პირები გარიგდნენ?

— გარიგება არ შემდგარა, უბრალოდ, დასავლეთი სწორად მოქმედებს. მას თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების გამოყენება რომ დაეწყო, ნახევარი დედამიწა განადგურდება. პუტინმა კი მთავარი შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა მის გარშემო მყოფ ანალიტიკოსებს, მათ შორის დიმიტრი როგოზინს დაუჯერა. მას ეუბნებოდნენ, რომ, თუ კიევს ყურადღებას მიაქცევდა, უკრაინა რუსეთისთვის ჩასაბარებლად თითქმის გამზადებული იქნებოდა. გიჟების სახლია! პუტინს სრული ინფორმაცია არც დასავლეთის პოზიციის შესახებ ჰქონდა. პრინცმა ჩარლზმა კი მას მეორე ჰიტლერი უწოდა და ეს სიმართლეა! ბოლო ორი თვის განმავლობაში, სოციოლოგიური გამოკითხვით, რუსების 80% მხარს პუტინს უჭერს, მაგრამ ეს დიდი ტყუილია. უბრალოდ, რუსეთის მოქალაქეებმა უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე სიმართლე არ იციან, სოციოლოგები კი მსგავსი ციფრებით ცდილობენ, პუტინს მაქსიმალურად ასიამოვნონ. პუტინის კიდევ ერთი პრობლემა პოსტსაბჭოთა სივრცეა. 28 მაისს, ევრაზიის ეკონომიკური დოკუმენტისთვის რუსეთს, ბელორუსსა და ყაზახეთს ხელი უნდა მოეწერათ. პუტინს უნდოდა, ამ გაერთიანებაში უკრაინაც ყოფილიყო, იანუკოვიჩი მასზე უარს არც იტყოდა, მაგრამ ახლა ეს საკითხი დიდი კითხვისნიშნის ქვეშ დადგა. ლუკაშენკო საკმაოდ ცბიერი ადამიანია — პუტინის წინააღმდეგ განცხადებების გაკეთებას უკვე აღარ ერიდება. ნაზარბაევიც შეშინებულია, რადგან სამხრეთ ყაზახეთში რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს. რაც მთავარია, დასავლეთის სანქციების შემდეგ, რუსეთი ეკონომიკური იმპოტენტია.

— პუტინმა „საუკუნის შეთანხმების“ გაფორმება ვერც ჩინეთთან მოახერხა, არადა, რუსი ეკონომისტების განცხადებით, დასავლეთის გავლენისგან დაცვას რუსეთი სწორედ ჩინეთთან პარტნიორობის ფონზე შეძლებდა.

— ჩინეთი საკმაოდ ცბიერი სახელმწიფოა. რუსეთი მას 38 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს შეღავათიან ფასში სთავაზობდა, მაგრამ ჩინეთს პუტინთან სულ სხვა, ტერიტორიული პრეტენზიები აქვს. მოგეხსენებათ, რუსეთმა ციმბირი მე-18 საუკუნეში დაიპყრო, მანამდე კი ამ ტერიტორიებზე ჩინეთის გავლენა ვრცელდებოდა. როგორც ერთხელ მოჭადრაკე გარი კასპაროვმა აღნიშნა, ახლა პუტინი „ცოცვანის“ მდგომარეობაშია — როცა ჭადრაკში პარტნიორი ყველა სვლას შეცდომით ასრულებს და მისი დამარცხება გარდაუვალია.

— საქართველოს რა ადგილი აქვს ამ გეოპოლიტიკურ ომში, კუთხეში მომწყვდეული პუტინი კუდის მოქნევას არ შეეცდება?

— აგრესიისთვის პუტინს სამხედრო ძალა სჭირდება, რაც არ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინაში საკუთარ მიზანს დიდი ხნის წინ მიაღწევდა. პუტინს მხოლოდ დიდი რაოდენობით, მაგრამ ძველი ტანკი და ვერტმფრენი შემორჩა, რაც ბუნებრივია, ნატო-სთვის საფრთხედ არ აღიქმება. პუტინს კიდევ, იცით, რა შეუძლია? — როგორც საქართველოში ერთხელ უკვე გააკეთა, რამდენიმე ათასი ძველი ტანკი მეზობელ სახელმწიფოში გაგზავნოს და მალევე უკან გამოიხმოს. საქართველოზე თავდასხმას აშშ-ში საკუთარ სახელმწიფოზე სამხედრო აგრესიად აღიქვამენ. ამის შესახებ თავის დროზე კონდოლიზა რაისმა განაცხადა. ასე რომ, ამ მხრივ ნაკლები საფრთხეა. საქართველოს პრობლემა ისაა, ქვეყნის შიგნით საკმაოდ ბევრი იდიოტი ჰყავს.

— დამისახელეთ „იდიოტები“ და ისიც დააკონკრეტეთ, მათ ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის რესურსი აქვთ?

— ბევრნი არიან, ევრაზიული კავშირის მომხრეები, „სტალინისტები“ და ა.შ, თუმცა მათ გავლენა აღარ აქვთ. სხვათა შორის, სასულიერო პირების ნაწილიც „მეხუთე კოლონაა“. ეს ის მღვდლები არიან, რომლებიც ფიქრობენ, რუსეთი

ერთმორწმუნე სახელმწიფოა და რუსული ეკლესიაც მათთვის ამოსავალი წერტილია, თუმცა საბედნიეროდ, ქართულ ეკლესიაში პატრიოტებიც არიან. საქართველოსთვის პრობლემას ე.წ. საბჭოთა ადამიანებიც წარმოადგენენ, რომლებსაც რეფორმატორი პოლიტიკოსები არ მოსწონთ, მეორე მხრივ კი, ფიქრობენ, რომ საქართველო რუსეთის უმცროსი ძმა და ქვეყანა შევარდნაძის რელსებზე უნდა დაბრუნდეს. საქართველო გამოჯანმრთელების ეტაპზეა, რადგან ბოლო პერიოდში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები მოწმობს, რომ ასეთი ადამიანების რიცხვი მცირდება. „ქართული ოცნებაც“ საკმაოდ საინტერესო „კომპოტია“, რადგან მასში დასავლეთის მომხრეები და „საბჭოთა ადამიანები“ ერთიანდებიან. ზოგადად მათ პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა არ აქვთ, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის სიძულვილი აერთიანებს. ეს გაერთიანება აუცილებლად დაიშლება, მაგრამ მთავარია, მათგან საბოლოოდ, რა ვარიანტი დარჩება. კარგი იქნება, თუ ქვეყანაში გაჩნდება ორი ძალა, რომელიც ერთმანეთს ენის სიგრძეში კი არა, იდეებსა და პროგრამებში შეეჯიბრება. ასე ხდება აშშ-ში, გერმანიასა და სხვა განვითარებულ სახელმწიფოებში.

— ქართულ პოლიტიკაში ორპარტიული მმართველობა არ ამართლებს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ნინო ბურჯანაძე და, სავარაუდოდ, ლევან ვასაძეც ემზადება.

— ლევან ვასაძე? რუსეთის მოქალაქეებზე არაფერს ვამბობ! ნინო ბურჯანაძე მუდმივად რაღაცისთვის ემზადებოდა, სინამდვილეში კი, საკმაოდ ცუდი ბიოგრაფია და რეპუტაცია აქვს, ამიტომ არ მგონია, ოდესმე სერიოზულ პოლიტიკურ ძალად იქცეს. ნინო ბურჯანაძემ საკუთარ თავს ჯვარი ორჯერ დაუსვა: ერთხელ, როცა 2007 წლის ნოემბერში განაცხადა, კარგია, მიტინგი რომ დავშალეთო და მეორედ 26 მაისს, როცა სახელმწიფო გადატრიალება სურდა.

— 26 მაისს ნაციონალური მოძრაობის ძალადობა გამართლებული იყო?

— სააკაშვილი მაშინ ისე მოიქცა, როგორც მაგალითად, გერმანიაში ანგელა მერკელი იქცევა. საერთოდ, ქართველი პოლიტიკოსების პრობლემა ისაა, პოლიტიკურ საქმიანობას პროგრამებზე კი არა, ერთმანეთის ლანძღვაზე აგებენ. ეს პოლიტიკა არ არის, ჩვენ ხომ საბჭოთა კავშირში არ ვცხოვრობთ? თუ უკეთეს ცხოვრებას გვპირდებით, აგვიხსენით, ამას როგორ აპირებთ? კი ბატონო, დაგვპირდით ასი ქარხნის აშენებას, მაგრამ გააკეთეთ კიდეც.

> **შესაძლოა, ვიღაც გაბრაზდეს, მაგრამ ქართულ საზოგადოებაზეც ჩემი შეხედულება მაქვს. ის, რაც ორი წლის წინ, საპარლამენტო არჩევნებზე მოხდა, „ქართული ოცნების“ დიდი აფერა იყო. როცა პენსია არ გაიზარდა, არც ბენზინის ფასმა დაიკლო ერთი ლარით, დაახლოებით, ნახევარ წელიწადში ქართველები ამას მიხვდნენ, მაგრამ ადამიანებს უჭირთ, საჯაროდ აღიარონ, რომ მოატყუეს, რადგან ეს ნიშნავს, თქვან, იდიოტები ვართო. ისე, მესამე ეტაპი შესაძლოა, საკმაოდ სწრაფად დადგეს — ადამიანები გამოვლენ და იტყვიან, კი, ნამდვილად ვიცით, რომ იდიოტები ვართ, რადგან ტყუილი დავიჯერეთო. ქართველების პრაგმატულობის იმედი მაქვს.**

— თუ საზოგადოება მესამე ეტაპამდე მივიდა, დღის წესრიგში, ალბათ, ალტერნატივის პრობლემა დადგება. ბატონო ოლეგ, შეიძლება, თქვათ, ალტერნატივა ნაციონალური მოძრაობაა, მაგრამ ვიდრე საზოგადოებას ნაციონალების მმართველობა ახსოვს, მათ ყოფნა მუდმივად თავისმართლების რეჟიმში მოუწევთ...

— სამწუხაროდ, საქართველოში მესამე ძალა არ იქნება, თან ნაციონალური მოძრაობის ბევრი მინუსი დღეს პლუსად იქცა — ზურაბ ჟვანიასა და სანდრო გირგვლიანის საქმე „მოკვდა“ და ვინმემ ვერც მიხეილ სააკაშვილის მიერ ასობით დაკბენილი ქალის მკერდი იპოვა... ამიტომ ხალხმა გაიაზრა, რომ მხოლოდ მითებს ებრძოდა, ბედუკაძე კი სასულიერო პირებმა საკუთარ აქციაზე არ მიუშვეს, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოება ფიქრს იწყებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო 70 წლის განმავლობაში პროპაგანდასა და ცენზურაში ცხოვრობდა. შეუძლებელია, 10 წლის განმავლობაში ქვეყანა თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს. მთავარია, განვითარების პროცესი გაგრძელდეს და საქართველოში რუსეთი არ შემოვიდეს. სხვა მხრივ, პანიკის საფუძველი არ არსებობს. მართალია, საზოგადოების ნაწილი ელოდება, თავზე „მერსედესი“ როდის დაეცემა, მაგრამ უმრავლესობა პრაგმატულად აზროვნებს. თუ ისინი ნახავენ, რომ კვირაში ერთხელ ნოდარ ხადური რესტორანში კოლოსალურ თანხას ხარჯავს, 2,5 წელიწადში ეტყვიან, ხადური, აღარ გვჭირდები! ნაციონალურ მოძრაობაში კი განათლებული ადამიანები არიან, რომლებსაც არ ეჩქარებათ და თავიანთ დროს დაელოდებიან.

ვერსიანიუსი

ილია მეორე: „ვინც თესავს ღვარძლს, შურსა და მტრობას, დიდხანს ვერ იბოგინებს!“

როგორც სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას უწმინდესმა აღნიშნა, ღმერთი ამთლიანებს და აერთიანებს, ხოლო ბოროტი სული — ეშმაკი ჰყოფს, და ღმერთი არ დაუშვებს საქართველოს დაყოფას.

„ადამიანის ცხოვრება ისევე, როგორც ერის ცხოვრება ცვალებადია. კეთილი მოდის, შემდეგ მიდის, ასევე ბოროტი მოდის, შემდეგ მიდის და ასე ტრიალებს. დღეს ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს მათთვის, რომლებიც შეეწირნენ საქართველოს თავისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობას და მთლიანობას. ჩვენ დღეს ვლოცულობთ იმათთვის, რომელთაც თავი დასდეს საქართველოს მთლიანობისთვის და ჩვენ ვლოცულობთ როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის, ისე რუსებისთვის, ისე სხვა ერის წარმომადგენლებისთვის“, — ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, დადგება ის მშვიდობიანი დრო, როცა ყველაფერი დადგება თავის ადგილზე, როცა აფხაზეთი და სამაჩაბლო დაუბრუნდება საქართველოს. **„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვართ განუყოფელი და განუყრელი ძმები. ჩემთვის ეს ადვილი სათქმელია, რადგან 11 წელი ვიყავი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. მახსოვს ის სითბო, ის განსაკუთრებული პატივისცემა, რომელსაც იჩენდნენ აფხაზები ქართველების მიმართ. რამდენი შემთხვევა ყოფილა, როდესაც აფხაზს გადაურჩენია ქართველი და ქართველს გადაურჩენია აფხაზი. ვინც თესავს ღვარძლსა და შუღლს, მტრობას, დიდხანს ვერ იბოგინებს, ვერ იქნება, რადგან ღმერთი ამთლიანებს, აერთიანებს და ბოროტი სული, ეშმაკი ჰყოფს. ღმერთი არ დაუშვებს საქართველოს დაყოფას. საქართველო არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და ჩვენ შევთხოვთ ღვთისმშობელს, რომ თავისი მფარველობა გაუწიოს საქართველოს და ასევე იმათ, რომლებიც შეეწირნენ საქართველოს მთლიანობას. დღეს ჩვენ ვასრულებთ პანაშვიდს და ვლოცულობთ მათთვის, რომლებიც დაიღუპნენ აფხაზეთში, რომლებიც თბილისში მოდიოდნენ და ვიღაცამ მათი თვითმფრინავი ააფეთქა“,** — აღნიშნა ქადაგებისას კათალიკოს-პატრიარქმა, რის შემდეგაც ბაბუშერას აეროპორტში დაღუპული ქართველი გმირებისთვის პანაშვიდი გადაიხადა.

სამების საკათედრო ტაძარში იმყოფებოდნენ როგორც გარდაცვლილების ახლობლები, ისე პოლიტიკოსები, მათ შორის, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, დევნილთა მინისტრი დავით დარახველიძე, უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი და ოპოზიციის წარმომადგენლები.

„ინტერპრესნიუსი“

რა შეღავათებით ისარგებლებენ მეწარმეები სახელმწიფო პროექტის — „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

შალვა ფიფია: „სახელმწიფომ ისეთი გარემო უნდა შექმნას, ბიზნესი გაკეთდეს!“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 2014 წლის 1 ივნისს, სახელმწიფო პროექტი — „აწარმოე საქართველოში“ დაიწყება. პროექტის კოორდინატორები სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სამინისტროები არიან. სახელმწიფო პროექტის ძირითადი მიმართულებები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გადამუშავება და ინდუსტრიული პროდუქტის წარმოებაა. მას შემდეგ, რაც „აწარმოე საქართველოში“ ანუ INTRODUCE IN GEORGIA-ს ფარგლებში ახალი საწარმოები ამუშავდება და ქართული პროდუქცია შეიქმნება, პროგრამის მეორე ეტაპი MADE IN GEORGIA ანუ „დამზადებულია საქართველოში“ დაიწყება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ პროექტის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკა განვითარდება და ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება. საქართველოში წარმოებული ხარისხიანი პროდუქცია კი დიდი რაოდენობით იმპორტსაც ჩაანაცვლებს და ხელს ექსპორტის განვითარებასაც შეუწყობს.

— ბატონო შალვა, პროექტის — „აწარმოე საქართველოში“ ბიუჯეტი 46 000 000 ლარია, საიდანაც 30 000 000 ლარი სოფლის მეურნეობის, 16 000 000 კი ინდუსტრიულ პროექტებს უნდა მოხმარდეს. ასეთი სხვაობა რამ გამოიწვია?

— მარტივად აგიხსნით: სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროექტების შედეგად, ამ სფეროს მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. რაც შეეხება პროექტის ბიუჯეტს, დიახ, 46 000 000 ლარია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამ ზომის სესხებს გავცემთ. გარწმუნებთ, გაცილებით მეტი რაოდენობის სესხი გაიცემა, რადგან ეს მხოლოდ და მხოლოდ ის ნაწილია, რომლითაც ჩვენი ანუ სახელმწიფოს თანამონაწილეობა შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრა და ეს პროცენტის სუბსიდიაა. თავისთავად, პროექტის პორტფელი გაცილებით შთამბეჭდავი და უფრო დიდი იქნება.

— ამ პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიზნესს როგორ დაეხმარება?

— სამი სახის დახმარებას — ფინანსურ, ტექნიკურ და ინფრასტრუქტურული ხელშეწყობის კომპონენტებს ვგულისხმობთ. სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ფინანსური ხელშეწყობის კომპონენტი იმას ნიშნავს, რომ პროექტის ფარგლებში, მსურველები 600 000-დან 2 000 000 აშშ დოლარამდე სესხის აღებას შეძლებენ, ინდუსტრიული მიმართულებით კი სესხის მოცულობა 150 000-დან 2 000 000 აშშ დოლარამდეა. რეალურად, მხოლოდ ესაა ერთადერთი განსხვავება სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიულ პროექტებს შორის და ამის მიზეზსაც აგიხსნით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე ახორციელებს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს, რომლის ფარგლებშიც, 600 000 აშშ დოლარამდე ღირებულების პროექტები, ისედაც ფინანსდება. სახელმწიფო პროგრამაში კომერციული ბანკები უკვე მონაწილეობენ და საკმაოდ შეღავათიანი პირობებით, გრძელვადიან პერიოდზე, სესხებსაც გასცემენ. პირველი ორი წლის განმავლობაში, ვიდრე მეწარმე ახალი საწარმოს შექმნას, პროდუქციის გამოშვებასა და ამ პროდუქტის რეალიზაციას შეძლებს, სახელმწიფო დაეხმარება და საპროცენტო განაკვეთის უდიდეს ნაწილს, სესხის 10%-ს გადაიხდის. ტექნიკური ხელშეწყობის მიმართულება იმას ნიშნავს, რომ მეწარმეებს საკუთარი ბიზნესის სწორად წარმართვაში დავეხმარებით. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ მიმართულებას, ამ შემთხვევაში, მეწარმეს უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება — მიწა და შენობა-ნაგებობები. საქართველოს მასშტაბით, უკვე 100-მდე ლოკაცია შეირჩა, რომლებიც ამ პროექტის ფარგლებში, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაეცემათ მეწარმეებს იმ პირობით, რომ მათ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელონ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სესხის ძირითად ნაწილს ანუ 30%-ს სახელმწიფო უზრუნველყოფს — შეღავათიან პერიოდში, პირველი ორი წლის განმავლობაში, კრედიტის 30%-ს სახელმწიფო აზღვევს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები მეწარმეებისთვის, ე.წ. სტარტაპებისთვის.

— სწორედ ფინანსური კომპონენტის ნაწილში, რაც სესხების სუბსიდირებას ეხება, ცალკეული ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასეთი პირობებით ახალ საწარმოს ისევ მსხვილი ბიზნესი შექმნის და საშუალო მეწარმეს, მით უმეტეს, „სტარტაპს“ ბიზნესის დაწყება გაუჭირდება...

— ერთი მეწარმეც არაა შეზღუდული, ამ პროექტის ფარგლებში დახმარება მიიღოს. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ თუ მეწარმე ფიზიკურ პირებს საშუალება აქვთ, შეღავათიანი სესხები მიიღონ. სახელმწიფო მსხვილ ან მცირე ბიზნესს ვერ შეზღუდავს და ნამდვილად ვერ ვხედავ ტრაგედიას, თუკი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, მსხვილი ბიზნესიც დაფინანსდება, რომელიც ახალ საწარმოს შექმნის და ხალხს დაასაქმებს. სახელმწიფოს მიზანი ისეთი საწარმოს შექმნაა, სადაც ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორი ხარისხიანი და კონკურენტული პროდუქციის წარმოებას შეძლებს. ამ მიზანს ხელს ის ფაქტი არ უშლის, რომ უკვე არსებული ბიზნესით, ახალი პროექტის ფარგლებში, სესხს აიღებს და ახალ საწარმოს აამუშავებს.

— მეწარმეებს, კონსულტაციების გარდა, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიებითაც დაეხმარებით?

— ტექნიკური დახმარების კომპონენტი ამ პროექტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული პროექტების ფარგლებში, ახალი მეთოდები, ინოვაციები დაინერგება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მარტივი ბიზნესია განვითარებული, მაგრამ სახელმწიფოს სურს, ქვეყანაში მაღალი ტექნოლოგიები დანერგოს, რათა ახალი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანი იყოს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ერთ თვეში, ხელს ვაწერთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ასოცირების ხელშეკრულებას. ეს კი ჩვენს მეწარმეებს საშუალებას მისცემს, ევროკავშირის ქვეყნებში მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ყოველგვარი ბარიერის გარეშე შევიდეს.

— პროექტში ჩამოთვლილია ის დარგები, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული მიმართულებით დაფინანსდება. როცა ჩაის, თამბაქოსა და დაფნის გადამამუშავებელ საწარმოზე ვსაუბრობთ, გასაგებია, რომ სამეგრელოს, აჭარისა და გურიის რეგიონი იგულისხმება, მაგრამ სახელმწიფომ თავიდანვე განსაზღვრა, რა ტიპის საწარმო შეიქმნას კონკრეტულ რეგიონში?

— იმ ძირითადი მიმართულებების განვითარების პოტენციალი, რაც პროექტშია ჩამოთვლილი, საქართველოში ყველგანაა. რაც შეეხება გადამამუშავებელ საწარმოს, საკმაოდ ფართო სპექტრია და ასე სპეციალურად დავგეგმეთ, რადგან ქვეყანაში არასაკმარისია გადამამუშავებელი საწარმო. შესაბამისად, სწორედ გადამამუშავებელი საწარმოების განვითარება გვინდა, რათა მეწარმეებს საშუალება მივცეთ, ქართული პროდუქცია აწარმოონ. მეცხოველეობა საკმაოდ კარგადაა განვითარებული — მოთხოვნადი პროდუქციაა, მაგრამ სამაგიეროდ, მატყლის გადამამუშავებელი საწარმოების სიმწირე გვაქვს. თხილისა და კაკლის გადამამუშავებელი საწარმოებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო თხილის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია. შესაბამისად, სასურველია, ამ მიმართულებით უფრო მეტი გადამამუშავებელი საწარმო არსებობდეს, რათა ქვეყანაში დამატებითი ღირებულება შეიქმნას.

— ბატონო შალვა, ნაციონალურ მოძრაობას 1 ლარად გაჩუქებული ქონების გამო აკრიტიკებდნენ, ამ პროექტის ფარგლებში, მეწარმეებს სიმბოლურ ფასად უთმობთ ამორტიზებულ შენობებს, რა განსხვავებაა თქვენსა და წინა ხელისუფლებას შორის?

— ძალიან დიდი განსხვავებაა და აგიხსნით, რატომ: ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში, კონკრეტულ, ფიზიკურ პირებს გადასცემდნენ ქონებას 1 ლარად. ამ პროექტის ფარგლებში, კომპანიებსა და მეწარმე-სუბიექტებს ქონება სიმბოლურ ფასად — 1 ლარად კონკრეტული, საინვესტიციო პირობით გადაეცემათ. მაგალითად, თუ დანგრეული შენობის საბაზრო ღირებულება 100 000 ლარია და თბილისში მდებარეობს, მეწარმეს იმ პირობით გადავცემთ, რომ 600 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს, მაგრამ, თუ ამორტიზებული შენობა, რომლის ღირებულება 100 000 ლარია, რეგიონშია, მეწარმე ვალდებულია, 400 000 ლარის ინვესტიცია განახორციელოს. როგორც ხედავთ, ჩვენი მიზანი ფიზიკური პირებისთვის ქონების გადაცემა კი არა, გაჩერებული საწარმო-სიმძლავრეების ამუშავებაა.

— პროექტის ოპონენტები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევაზეც საუბრობენ. მაგალითად, მეწარმე, რომელმაც საწარმო წლების წინ, კომერციულ საწყისებზე, ყოველგვარი დახმარების გარეშე შექმნა, არათანაბარ პირობებში აღმოჩნდება იმ მეწარმესთან, რომელიც იგივე ტიპის საწარმოს, ოღონდ უკვე ამ პროექტის ფარგლებში, საკმაოდ შეღავათიანი პირობებით, უფასოდ გადაცემული მიწის ნაკვეთითა და 1 ლარად მიღებული ქონებით შექმნის. როგორ ფიქრობთ, ეს სამართლიანია?

— კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტო, რომ ამ პროექტს ძალიან ზუსტი და მკვეთრად გაწერილი სტრატეგია აქვს. სახელმწიფო მეწარმეს ეხმარება მხოლოდ შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში. წარმოების ეტაპზე კი, კომპანიები მუშაობას თანაბარ პირობებში განაგრძობენ. რაც შეეხება არსებულ საწარმოებს, რომლებიც წინა წლებში შეიქმნა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 600 000 აშშ დოლარამდე სესხს გასცემს. მეწარმეს, რომელმაც წინა წლებში შექმნა საწარმო, სწორედ შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლია, რათა საკუთარი საქმიანობა განავითაროს. შესაბამისად, მასაც აქვს საშუალება, სხვა პროექტის ფარგლებში, სუბსიდირებული სესხი მიიღოს.

— პროექტის — „აწარმოე საქართველოში“ საშუალებით, სახელმწიფო ბიზნესში ერევა, მაგრამ ბაზარმა უკეთ არ იცის, რომელი დარგია პრიორიტეტული?

— ხაზგასმით ვამბობ, ეს ინტერვენცია საკმაოდ მინიმალურია, რადგან არ ვერევით ბიზნესში. ბიზნესის კეთება სახელმწიფოს საქმე არ არის, სახელმწიფომ ისეთი გარემო უნდა შექმნას, ბიზნესი გაკეთდეს! ჩვენი ერთადერთი ჩარევა იმაში გამოიხატება, რომ არსებულ, კონკრეტულ რისკებს მეწარმეებს მკვეთრად გამოხატული მექანიზმებით ვუმცირებთ. ამის შემდეგ, ისინი თავისუფალი ბაზრის პრინციპებს დაექვემდებარებიან, ეს კი ბიზნესში ჩარევა არაა.

ვერსიანიუსი

შსს-ს თანამშრომლებმა სისხლი ჩააბარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის კახეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს, ამავე ცენტრის სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის კახეთის ქვეგანყოფილებისა და კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს 150-ზე მეტმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო აქციაში „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“. შსს-ს წარმომადგენლებმა სისხლი თელავში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის კახეთის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს ბაზაზე ჩააბარეს, სადაც მ. იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებული სისხლის ბანკის თანამშრომლები სპეციალური ავტომანქანით ჩავიდნენ.

შს მინისტრის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის მთელი წლის განმავლობაში უანგაროდ აბარებენ სისხლს. აქციაში სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

აღნიშნულ აქციაში წლის ბოლომდე შსს-ს სხვადასხვა რეგიონალური სამმართველო მიიღებს მონაწილეობას და სამართალდამცველები საკუთარ წვლილს შეიტანენ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა გადასარჩენად.

„ვერსიანიუსი“

ბათუმში ჩვილი ნაწლავური ინფექციის დიაგნოზით გარდაიცვალა

ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში ორი თვის გოგონა გარდაიცვალა. ბავშვის მკურნალი ექიმი რეანიმატოლოგი ქეთევან ბერიძე მენინგიტის ვირუსულ ინფექციას გამორიცხავს და აცხადებს, რომ ლეტალური შედეგი ნაწლავური ინფექციის გამო დადგა. როგორც ექიმმა განაცხადა, ჩვილი საავადმყოფოში უკიდურესად მძიმე შოკურ მდგომარეობაში შევიდა და სამი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

„ნაწლავური ინფექცია იყო, გასტროენტერიტი, შოკით შემოვიდა, იყო სისხლძარღვშიდა შედედების სინდრომი უკიდურესად მძიმე. ღამის 01:54 საათზე მოიყვანეს საავადმყოფოში, მაშინვე სუნთქვით აპარატზე ავიყვანეთ და ზუსტად სამ საათში გარდაიცვალა“, — აღნიშნა ქეთევან ბერიძემ.

ექიმი განმარტავს, რომ ბავშვის გარდაცვალების შემდეგ, მშობლებისგან რაიმე სახის აგრესია ან პრეტენზია ექიმების მიმართ არ ყოფილა. გარდაცვლილი ბავშვის ოჯახი ხელვაჩაურში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩაზე ცხოვრობს.

„ინტერპრესნიუსი“

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს შენობა გადაეცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ახალი შენობა გადაეცა. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა — საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ახლახან ჩამოყალიბდა. სამსახურს ზედამხედველობას უწევს საქართველოს მთავრობა. მთავრობის დახმარებით ფუნქციონირების ამ მოკლე პერიოდში უკვე მოხერხდა რამდენიმე პროექტის განხორციელება.

„მთავრობის გვერდით დგომის დასტურია დღევანდელი დღეც, სამსახურის განსათავსებლად გადმოგვეცა შენობა, სადაც შევძლებთ სრული დატვირთვით საქმიანობას ვეტერანთა პირობების გაუმჯობესებისთვის. ასევე ვგეგმავთ, უახლოეს მომავალში ჩამოვაყალიბოთ და აქვე განვათავსოთ „ოფიცერთა კლუბი“, სადაც სისტემატურად მოვახდენთ ვეტერანთა ჯგუფებთან შეხვედრებს, აზრთა გაცვლას, პრობლემების განხილვასა და გადაჭრის გზების ძიებას. ასევე, ვგეგმავთ მოვიწვიოთ ანალოგიური საქმიანობით დაკავებული უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა შევისწავლოთ და გავიზიაროთ მათი გამოცდილება“, — განაცხადა ვეტერანთა სამსახურის უფროსმა გიორგი ფერაძემ.

უახლოეს პერიოდში მთავრობის წინაშე სამსახური გეგმავს, წარადგინოს წინადადება ვეტერანის დღის დაწესებასთან დაკავშირებით, თარიღის შერჩევაზე უკვე მიმდინარეობს გამოკითხვა.

„ინტერპრესნიუსი“

პოლიციამ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიების შედეგად მკვლელობის ბრალდებით 1999 წელს დაბადებული ანდრეი კ. დააკავეს დაკავებულმა, თბილისში მეზობელ 1990 წელს დაბადებულ სურაჯ ა.-ს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე გულმკერდის არეში დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიების შედეგად, ბრალდებული რამდენიმე საათში გაჩიანის ტერიტორიაზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

გულბაათ რცხილაძე: „ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის!“

აფინანსებს თუ არა პუტინი, რეალურად რას ემსახურება და რაში ეხმარება ევრაზიის ინსტიტუტი ბიზნესმენებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

2009 წელს საქართველოში ევრაზიული ინსტიტუტი შეიქმნა, რომლის შესახებაც ბოლო დრომდე ფართო საზოგადოებამ არაფერი იცოდა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოების პარალელურად კი, ეს ორგანიზაცია საგრძნობლად გააქტიურდა — ჯერ იყო და, კინოს სახლში ნატო-ს საწინააღმდეგო რუსულენოვანი ფილმის ჩვენება მოაწყო, მერე ისიც ითქვა, ევრაზიის ინსტიტუტი 17 მაისს ჰომოსექსუალთა მობილიზებასა და თბილისის ქუჩებში არეულობას გეგმავსო. ნათქვამის საილუსტრაციოდ არაერთი ფარული ჩანაწერი და უხამსი მიმოწერა გამოქვეყნდა... ერთი სიტყვით, ევრაზიული ინსტიტუტის დამაარსებლები — გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა საზოგადოების ნაწილში პუტინსა და რუსულ ფინანსებთან ასოცირდებიან; ამავე ორგანიზაციის წევრები — შოთა აფხაიძე, მამუკა კარტოზია, ალექსანდრე ბეჟიტაშვილი, მიხეილ კაჟელაშვილი, დავით ბერიძე, კობა ოთანაძე, კონსტანტინე ჩიკვილაძე და ირაკლი ყიფიანი საქართველოს უკეთეს მომავალს ნატო-სა და ევროკავშირის მიღმა ხედავენ, თუმცა მათთვის არასოდეს უკითხავთ, რეალურად, რას ემსახურება ევრაზიის ინსტიტუტი და რა გზა განვლო ევრაზიის სავაჭრო კავშირში შესვლის იდეიდან ტრანსგენდერი მაცაცოს მოსყიდვამდე.

— ეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა 90-იანი წლების ბოლოს ჩამომიყალიბდა, განსაკუთრებით, იუგოსლავიაში, კოსოვოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენების გავლენით და საბოლოოდ დავასკვენი, რომ ის ექსპანსია, რაც დასავლეთმა მსოფლიოში წამოიწყო, ჩვენთვისაც საშიში იქნებოდა, რაც დადასტურდა კიდეც: ჩამოაგდეს სლობოდან მილოშევიჩი, საქართველოში „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, უკრაინაში კი „ნარინჯისფერი“. ყველაფერი ეს ჩვენთვის აგვისტოს ომით დაგვირგვინდა და ომის მერე გადავწყვიტე, ჩემი აქტივობისთვის ორგანიზაციული სახე მიმეცა — 2009 წელს ევრაზიის ინსტიტუტი დავაარსეთ და სააკაშვილის ანტირუსულ პოლიტიკას დავუპირისპირდით. თუკი მაშინ ხელისუფლების საგარეო კურსს ოპოზიციაში ედექი, ე.წ. პრორუსი იყავი, ახლა აღარ ვიდევნები.

— რატომ, „ოცნებაში“ ე.წ. პრორუსები არიან?

— შეიძლება, ვიღაცისთვის პრორუსები არიან, ვიღაცისთვის არა.

— თქვენთვის ვინ არიან?

— ესაა ხელისუფლება, რომელმაც უკვე ბევრი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ლეგიტიმურია. ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის შედეგები თვალსაჩინოა — იდეოლოგიურად, ჩვენ გავიმარჯვეთ და ეს ხალხის განწყობაზეც აისახება. ქართველი ხალხი ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობით როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას შეძლებს!

— ბატონო გულბაათ, ეს გამოკითხვებში არ ჩანს...

— არ ვიცი, რომელ გამოკითხვებს გულისხმობთ, მაგრამ სოფლებში დავდივარ და ხალხს უშუალოდ ველაპარაკები. ვიყავი, მაგალითად, შიდა ქართლში, სადაც ხან მწყემსს იჭერენ, ხან ჯონჯოლის მკრეფავს და ყველაზე ანტირუსული განწყობა თითქოს იქ უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერი პირიქითაა. ვიყავი გორის რაიონის სოფელ ბერშვეთში, კირბალში, ქარელის რაიონის სოფელ დირბში, ჩვენი წარმომადგენლები იყვნენ ყველასგან მივიწყებულ სოფელ გნოლევსა და ავლევში. ავღანეთში ფეხშველა ბავშვები რომ დარბიან, ხომ გინახავთ? — აი, ზუსტად ასეთი მდგომარეობაა ამ სოფლებშიც. მოსახლეობას რამდენჯერმე ჰუმანიტარული დახმარებაც ჩავუტანეთ და ამ ხალხისგან კატეგორიული მოთხოვნა წამოვიდა, რუსეთთან სრულმასშტაბიანი ურთიერთობა აღვადგინოთ — არც ერთი მთავრობის ნაწყალობევი არ გვინდა, მუშაობა შეგვიძლია და თავს მივხედავთო. შეხვედრებზე უფრო რადიკალური განცხადებაც გააკეთეს და ამის გამო რამდენჯერმე უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდი — ამბობენ, რუსეთის შემადგენლობაში გვინდა შესვლაო! სააკაშვილის რეჟიმმა ჩვენი ხალხი ასეთ დღეში ჩააგდო, თუმცა საქართველო რუსეთის შემადგენლობაში, ცხადია, არ უნდა იყოს.

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მხარს უჭერთ?

— „აღდგენა“ რას ნიშნავს?

— აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაციასა და საქართველოს ფარგლებში დაბრუნებას.

— საინტერესოა, რა დგას ამის იქით ანუ ახლა ოსეთის ხელმძღვანელობამ უნდა დაიჩოქოს, თბილისში მოხოხდეს, ჩვენ რომ ცხინვალში ჩავალთ, ფეხები დაგვბანოს და ეს იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?

— „ფეხების დაბანა“ რა შუაშია, ბატონო გულბაათ? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცხინვალი და აფხაზეთი საქართველოს განუყოფელია. შესაბამისად, ჩვენს ოს და აფხაზ ძმებთან ჯერ თუნდაც სავაჭრო ურთიერთობები უნდა დაიწყოს...

— კი, ბატონო და ამას სათანადო ფორმაც უნდა მიეცეს. ხალხმა მიმოსვლა უნდა აღადგინოს, გადაადგილება თავისუფალი უნდა იყოს და ამ ტერიტორიების სტატუსი როგორი იქნება, ფედერაცია თუ ორი სხვადასხვა სახელმწიფო, ამას მნიშვნელობა არ აქვს. როცა არძინბა ამბობდა, საქართველო ფედერაცია უნდა იყოს და აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთიც“ ფედერაციის სუბიექტებად გაჩნდნენო, აქ ამაზე ისტერიკა ატყდა, დღეს კი ესეც სანატრელი და მიუღწეველი ოცნებაა.

— მართლა ფიქრობთ, რომ ქართველი ხალხისა და ხელისუფლებისთვის აფხაზეთთან კონფედერაციული ურთიერთობა მისაღებია?

— დიახაც და, მეტსაც გეტყვით — დღეს აფხაზებსა და ოსებს არ უნდათ ჩვენთან არც ფედერაცია და არც კონფედერაცია, რადგან ისინი აქ საფრთხეს ხედავენ. მათთვის მიუღებელი და უცხოა რუსეთთან ჩამოშორება, რადგან უსაფრთხოების გარანტია რუსეთშია და ნატო-სა და დასავლეთს არ ენდობიან. თუ რუსეთს შევეჯიბრებით და ვიტყვით, რომ ამ კონფლიქტში მისი მომრიგებლური როლი არ გვაინტერესებს, ბევრს წავაგებთ. ჩვენ დღეს პირდაპირ აფხაზეთსა და ოსეთთან გვინდა ურთიერთობა და ისინი, რუსეთის გარეშე, ამაზე არ წამოვლენ. თუ რუსეთი მხარეა, მაშინ მომრიგებლად უნდა ვაქციოთ.

— აფხაზებთან შერიგებას თვითონ რომ მივხედოთ?

— დიდი ბოდიში, რა, ახლა ჩვენ გინდა, აფხაზებსა და ოსებს რუსეთმა ზურგსუკან ძირი გამოუთხაროს და ჩვენ ჩაგვაბაროს?

— რუსეთი წლებია, სამაჩაბლოსაც და აფხაზეთსაც ეკონომიკურად ინახავს, ძირგამოთხრას ამას ეძახით?

— კი ბატონო, ეს ტერიტორიები უნდა არჩინოს.

— ე.ი. აფხაზეთი და სამაჩაბლო უნდა მოვიკვეთოთ, თუკი დასავლეთს დავუახლოვდებით? თუ დასავლეთზე უარს ვიტყვით, რას მივიღებთ?

— მაშინ არაფერი გვემუქრება. ძველბიჭური პოლიტიკა ხომ არ გვაქვს, შიში სამარცხვინო რომ იყოს. ჯერ ერთი, როცა სუსტი ხარ, დიახაც, უნდა გეშინოდეს. თუ ძლიერს დაუპირისპირდი, ვერაფერს მოიგებ.

— და ძლიერს, მაგალითად, ნატო-ს რომ შევეკრათ?

— ნატო ამ რეგიონში ძლიერი არ არის... ნატო-ს ჩინოვნიკებთან პრეტენზია არც მაქვს — ის ხალხი პირდაპირ ამბობს, თქვენს კონფლიქტებში არ ვერევითო.

— ისე, იმის პრეცედენტიც არსებობს, რომ საერთაშორისო წნეხის დახმარებით, ნატო-ში კონფლიქტური ქვეყანა მიიღეს.

— ხორვატია შევიდა, რომელმაც 1995 წელს ძალისმიერი გზით ალაგმა კრაინას პრეცედენტი. ჩვენ რა ვქნათ, ეთნიკური წმენდა მოვაწყოთ, დავხოცოთ აფხაზები და ორიენტირი მთლიანად დასავლეთზე ავიღოთ?

— ბატონო გულბაათ, ყველაფერს, რაც რუსეთს არ ეხება, ზედმეტად რადიკალურად აფასებთ. აბა, რა გვინდა, უსაფრთხოდ ცხოვრება რუსეთის გუბერნიის სტატუსით?

— კონსენსუსი გვინდა! უსაფრთხოება დიალოგისა და თანამშრომლობის გზით მიიღწევა. რუსეთს რომ დიალოგში „ჩავითრევთ“, ეს საუკეთესო შედეგი იქნება.

დასასრული მე-7 გვერდზე

სამართალი

არასაპატიმრო სასჯელების რაოდენობა გაიზარდა

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მთელი საქართველოს მასშტაბით, სასამართლოებში იმატა საქმეთა რაოდენობამ. სასამართლოს სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს საკუთარი უფლების დასაცავად. მოიმატა ასევე სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობამაც.

სასამართლო საქმიანობის ოფიციალური სტატისტიკა

როგორია საპროცესო შეთანხმებების, გამამართლებელი განაჩენების და გამოყენებული სასჯელების დინამიკა, ეს და სხვა საინტერესო მონაცემები უზენაესი სასამართლოს ვებ.გვერდზე (www.sepremecourt.ge) გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებშია ასახული.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში იმატა შემოსული სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობამ. 2012 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განსახილველად სულ შემოვიდა 9133 სისხლის სამართლის საქმე, 2013 წელს ეს რიცხვი 14 676-მდე გაიზარდა, ხოლო, 2014 წლის სამ თვეში 2013 წლის იმავე პერიოდთან შედარებით შემოსული საქმეების რაოდენობამ 1499 საქმით (55,7%) მოიმატა. მოიმატა ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების რაოდენობამაც. თუკი 2013 წლის პირველ კვარტალში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 7697 საქმე განიხილეს, 2014 წლის იგივე პერიოდში ეს რაოდენობა 1710 საქმით (22,2 %) გაიზარდა და 9407 საქმე შეადგინა. სისხლის და სამოქალაქო საქმეებისგან განსხვავებით, უმნიშვნელოდ არის გაზრდილი ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა. სულ, 2013 წლის სამ თვესთან შედარებით, ადმინისტრაციული საქმეების რაოდენობა 17 საქმით გაიზარდა.

რაც შეეხება შემოსული და განხილული სისხლის სამართლის საქმეების დინამიკას - 2014 წელს სულ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია 15 636 საქმე.

გაზრდილი სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა მსჯარდებულთა რაოდენობაზეც აისახა, და თუ 2013 წლის სამ თვეში 2746 მსჯავრდებული პირი ირიცხებოდა, 2014 წელს ეს რიცხვი 50,5 %, ანუ 1387 პირით გაიზარდა და 4133 მსჯავრდებული შეადგინა.

რაც შეეხება გამოყენებული სასჯელების დინამიკას. 2014 წლის 3 თვეში სასამართლოების მიერ გამოყენებული არასაპატიმრო სასჯელების ხვედრითი წილი 61,7%, 2013 წლის იგივე პერიოდში 71,8%, ხოლო 2012 წელს - 59,7 % იყო.

თავისუფლების აღკვეთა სულ მიესაჯა - 38,3 პროცენტს, პირობითი მსჯავრი - 45,6 პროცენტს, ჯარიმა - 13,9 პროცენტს.

თავისუფლების აღკვეთის ვადების მხრივ კი სიტუაცია ასეთია: პირველი ინსტანციის სასამართლოებმა თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით მიუსაჯეს სულ 1402 პირს, ანუ სულ თავისუფლების აღკვეთის ვადებში ეს არის 88,5 პროცენტი. 5-დან 8 წლის ჩათვლით-121 პირს (7,6 %), 8 წლიდან 15 წლის ჩათვლით- 54 პირს, 15-დან 25 წლის ჩათვლით - 6 პირს, ხოლო უვადო თავისუფლების აღკვეთა - 1 პირს.

საპროცესო შეთანხმების ხვედრითი წილი 2014 წლის სამი თვის მონაცემებით ოდნავ შემცირებულია და თუკი 2013 წლის 3 თვეში საპროცესო შეთანხმება მაჩვენებელი 88,8 პროცენტი იყო, 2014 წელს ეს რიცხვი-74,5 პროცენტამდე შემცირდა.

სასამართლო აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) შეფარდების დინამიკასაც აქვეყნებს.

2014 წლის 3 თვის მონაცემების მიხედვით, სულ აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა 35,8 პროცენტს, 2013 წელს ეს რიცხვი - 26,8 პროცენტი იყო. 2012 წელს - 41,9 პროცენტი.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების დინამიკას. 2014 წლის 3 თვეში სულ შემოვიდა 7870 სამართალდარღვევის საქმე, ხოლო განხილულია 7523 საქმე. სტატისტიკური ანალიზის თანახმად, 2013 წლის 3 თვესთან შედარებით სასამართლოში შემოსული სამართალდარღვევის საქმეების რაოდენობა გაიზარდა 20,1 პროცენტით. გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები კი ასე გადანაწილდა: ჯარიმა - 93,1 პროცენტი, გაფრთხილება - 6,6 პროცენტი, ხოლო პატიმრობა - 0,3 პროცენტი. სულ 2014 წლის 3 თვეში გამოყენებული არასაპატიმრო სახდელების ხვედრითმა წილმა 90 პროცენტი შეადგინა.

ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები კი ასეთია: 2014 წლის 3 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გამოიტანეს 841 გადაწყვეტილება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ 680 გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული დავების კატეგორიას მიეკუთვნება საგადასახადო დავებიც. 2014 წლის 3 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ 33 გადაწყვეტილება გამოიტანეს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ - 58 საქმე.



* 2014 წლის 3 თვეში მსჯავრდებულია 1387 პირით, ანუ 50,5%-ით მეტი, ვიდრე 2013 წლის 3 თვეში;

* 2013 წელს მსჯავრდებულია 4244 პირით, ანუ 38,9%-ით მეტი, ვიდრე 2012 წელს;



* 2014 წლის 3 თვეში არასაპატიმრო სასჯელების ხვედრითი წილი 61,7%-ია;
* 2013 წელს – 71,8 %; 2012 წელს – 59,7%.



რაც შეეხება გასაჩივრების მაჩვენებელს. უზენაეს სასამართლოში 2014 წლის 3 თვეში შეიცვალა და გაუქმდა 5 პირის მიმართ გადაწყვეტილება, ხოლო უცვლელი დარჩა გადაწყვეტილება - 94 პირის მიმართ. სამოქალაქო საქმეებზეც სტაბილურობის მაჩვენებელი ასევე მაღალია და მონაცემები ასე გადანაწილდა: შეიცვალა გადაწყვეტილება - 16 პირის მიმართ, ხოლო უცვლელი დარჩა - 205 პირის მიმართ. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საქმეებს. გაუქმდა 14 პირის მიმართ, ხოლო 149 პირის მიმართ დარჩა უცვლელი.

უზენაესი სასამართლო სტატისტიკური მონაცემების განახლებას ყოველ სამ თვეში ერთხელ საჯარო პრეზენტაციის ფორმატით ახდენს. სამი თვის შედეგების პრეზენტაცია „მართლმსაჯულების სახლის“ გახსნაზე თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გააკეთა.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია“
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

ექსკლუზივი

მე-6 გვერდიდან

გულბაათ რცხილაძე: „ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის!“

— მალე ხელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერთ. ამ მოვლენას როგორ აფასებთ?

— გეტყვით მთავარ დეტალს, რომელიც საქართველოში არ ხმაურდება. საფრანგეთის პრეზიდენტმა, ოლანდმა თბილისში ჩამოსვლამდე, ერევანში განაცხადა, ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს სომხეთის გადაწყვეტილებას, შევიდეს საბაჟო კავშირში, რომელიც მალე ევრაზიის კავშირად გარდაიქმნება ანუ სომხეთისთვის მოიძებნება ფორმა, ერთდროულად, საბაჟო კავშირშიც იყოს და თან ხელი ევროპასთან ასოცირებასაც მოაწეროს.

— ეგ იმიტომ, რომ სომხეთს პირდაპირ და არაერთხელ უარი აქვს ნათქვამი ევროპაზე. ჩვენ კი სომხეთისგან განსხვავებული საგარეო კურსი გვაქვს...

— ეს მოდელი ჩვენც უნდა ავიტაცოთ. ყველაზე მეტად ის მადარდებს, ასოცირების ხელშეკრულებაში რა პუნქტებია და რომ აღმოჩნდეს, ხალხი ამ პუნქტებს არ ეთანხმება, ხელი მაინც უნდა მოვაწეროთ? ეს სუფთა კაბინეტური, არადემოკრატიული პოლიტიკაა. ისინი ხალხს საქონლად მიიჩნევენ და ფიქრობენ, იმას დავღეჭავთ, რასაც პირში შემოგვაჩეჩებენ! ჩვენ კი დემოკრატიული ორგანიზაცია ვართ და ხალხს აზრი უნდა ვკითხოთ. ჩატარდეს ნამდვილი პლებისციტი და, თუ ხალხი იტყვის, ნატო-ში შევიდეთო, ჩვენც დავემორჩილებით! მეტი რა ვთქვა?!

— სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, რეფერენდუმი უკვე ჩატარდა და ამომრჩევლის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი ნატო-ს დაუჭირა. აი, სკანდალი — ნატო-ში შესვლა გინდათ?

— მაგას ნუ დაწერთ, რა. ეგ არ მინდა, ეს არარეალურია, მაგრამ, რომც იყოს, მაინც არ მინდა. ნატო-ში რომ გავწევრიანდეთ, რუსეთის რაკეტები, რომლებიც დასავლეთისკენაა მიმართული, ჩვენსკენ შემოტრიალდება.

— მოკლედ, ბოლო დროს თქვენი გააქტიურება, ფილმების ჩვენება, 17 მაისის სკანდალი და ა.შ. იმით ხომ არაა გამოწვეული, ასოცირების ხელშეკრულების წინ ქვეყანაში არადემოკრატიული ფონის შექმნა გინდათ?

— ეს საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს, პოლიტიკურადაც ლოგიკური ვერსიაა, მაგრამ, თავიდან ბოლომდე, ბრალდებაა. დაგვაბრალეს ისიც, თითქოს ფული გამოვყავით გაურკვეველი სქესის ხალხის კაბებში გამოსაწყობად. ეს სასაცილოდ არ მყოფნის. ჩვენს მიმართ სიბინძურის ტალღა აგორდა, თითქოს, ორგანიზაციაში ერთმანეთის მიმართ სექსუალური ლტოლვა გვაქვს და მოწმეებად მოიყვანეს ტრანსგენდერი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი და ლაწირაკი ბავშვი, რომელიც ფიქრობს, სპეცსამსახურის ნიჭიერი თანამშრომელია.

— ვინ გიგორებთ ამ ჭორებს?

— ის, ვინც ულტრადასავლური მიმართულებისაა და, ვინც მის უკან დგას.

— რა გაკავშირებთ 17 მაისთან?

— არაფერი.

— არც ტრანსგენდერი მაცაცოს დაფინანსებას აპირებდით, არც ბორჯომის საკრებულოსთან გეიმარშის მოწყობას?

— ეს ისეთი სიცრუეა, თმა ყალყზე დამიდგა! ბორჯომის საკრებულოს ამბები პირველად თქვენგან მესმის. ამ ორგანიზაციაში სექსუალურ საკითხებზე საერთოდ არ ვმუშაობთ.

— ჰომოსექსუალი თქვენც გიწოდეს და ეკლესიის შეურაცხმყოფელი მიმოწერა გამოგიქვეყნეს...

— ფეხებზე მკიდია, ვინ რას იტყვის, ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ! ეს ჩემი ღირსების შემლახავი განცხადებებია!

— შეურაცხყოფას გაყენებენ, ცრუმოწმეები მოჰყავთ, ბრალდებებს გიყენებენ — სასამართლოში რატომ არ ჩივით?

— არ მჭირდება სასამართლოს დახმარება საკუთარი ღირსების დასაცავად. ამ სიბინძურეებზე კომენტარს არ ვაკეთებ. სისულელეს რა უნდა დავუპირისპირო?! დღეს ასეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და სწორედ ამიტომ გვინდა, ქვეყანა უკეთესობისკენ შეიცვალოს.

— ვინ გაფინანსებთ?

— თავად ვაფინანსებთ ჩვენს თავს და ისიც მოგონილია, თითქოს რუსეთიდან ვფინანსდებით. ხალხს ბიზნესკონტაქტების დამყარებაში ვეხმარებით. ზოგს დავხმარებივართ ვიზების მოგვარების საკითხში და ყველაფერი ეს შავად კი არა, ოფიციალურ დონეზე კეთდება; მაგალითად, გაგვიშვია ქართველი ბიზნესმენები რუსეთში და შემდეგ, ისინი თავიანთი მონაგებიდან ფინანსურად დაგვხმარებიან. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, საქართველოში მცხოვრები ბიზნესმენები კი არ გვასპონსორებენ, გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, ფულს იხდიან. ყველაფერ ამას პირადი კავშირებით ვაკეთებთ და მერე, კანონიერად მოპოვებულ თანხას სად წავიღებ, ეს ჩემი საქმეა. სახელმწიფო ფულს არ მიხდის, არსად ვმუშაობ და აბა, რა ვქნა, ვიმათხოვრო?!

— ბიზნესმენი ყოფილხართ და არ გინდათ, თქვენს არასამთავრობოს სხვა სამართლებრივი ფორმა მისცეთ?

— ამას ბიზნესმენობას ვერ დავარქმევ, ვმუშაობთ და ჩვენს თავს ვიფინანსებთ. მაგალითად, ქართველ ბიზნესმენს ღვინო რუსეთში გავაყიდვინეთ; ასევე ისრაელში, ჩვენი დახმარებით, ბალტიისპირეთიდან ქაშრუტული კარაქი შევა. ასე რომ, პუტინი არანაირ თანხას არ მაძლევს, რადგან მედვედევი არ გახლავართ.

— ბატონო გულბაათ, მამათქვენი, ვიქტორ რცხილაძე ცნობილი დისიდენტი იყო, ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოდა და თქვენი გზები ასე როგორ გაიყო?

— თქვენ ამბობთ, რომ მამაჩემს ქვეყნის თავისუფლება უნდოდა და მე არ მინდა? მაშინ ამ დისიდენტურ მოძრაობაში სულ რამდენიმე კაცი იყო. დღეს რომ ბევრი მორალს მიკითხავს და მკერდზე მუშტს იბრაგუნებს, ისინი მაშინ კაგებე-ს „სტუკაჩები“ იყვნენ და მათგან შენიშვნას ვერ მივიღებ. ჰელსინკის ჯგუფი ანტირუსული კი არა, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია იყო, მაგრამ ეს ჯგუფი დაშალეს და ჯერ კოსტავა-გამსახურდია დაიჭირეს, 1978 წელს კი ვიქტორ რცხილაძე. მე რა, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ვარ? პირიქით, ვამბობ, რომ საქართველო თავის გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი არ არის. ნუ მოვახვევთ ქართველ ხალხს აშშ-ს ინტერესებს თავზე! პირიქით, ვიბრძვი დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, ჩემი ოპონენტები კი საქართველოს მონობის მსურველნი არიან! ბევრი მტერი გვყავს, ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული არასამთავრობოების 100% და მედიის 97%, ასევე, ყველა ის, ვინც ჩვენს აქციებზე მორბოდა, კიოდა, ყვიროდა, ჯღაოდა და გაზეთის ფურცლებიდან ილანძღებოდა. მტერია ისიც, ვინც ფიქრობს, რომ დიდი ფული გამოგვიჩნდა და ამის გამო იბოღმება. კინოს სახლში ერთი ჩვენება გავმართეთ, დარბაზში 300 ლარი გადავიხადეთ, ფილმი კი ჩვენი ხელით აქვე, ოფისში დავამონტაჟეთ. ფული ნამდვილად არ გვაქვს, ამიტომ ყველას მოვუწოდებ — კაბა არავინ ჩაიცვას, ამაში ფულს არ ვიხდით!

— ბოლოს, თქვენს სამომავლო გეგმებზეც მითხარით...

— მოვაწყობთ კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს, ფილმების ჩვენებებს. ზაფხულში რუსეთიდან სერიოზული ხალხის ჩამოსვლას ველოდებით, სავარაუდოდ, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

— ვინ და რატომ ჩამოდის?

— ისინი ჩვენი სტუმრები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან, სახელებსა და გვარებს ჯერ არ დავაკონკრეტებ. არავითარ ბომბებს არ ვისვრით, უბრალოდ, იქნება შეხვედრები და სემინარები კავკასიაში მიმდინარე რელიგიური ტენდენციების, ისლამიზაციის საფრთხისა და სხვა მსგავსი თემების შესახებ.

დაუბრუნებს თუ არა სახელმწიფო ვალს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ცენტრი „ერთობა“ ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურისგან ითხოვს, გაარკვიოს, რამდენია კოოპერატიული ბინათმშენებლების წინაშე არსებული სახელმწიფოს საშინაო ვალი. საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია 2004 წლიდან არსებობს. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის №463 დადგენილებით, კომისიის წევრები შეიცვალნენ, კომისიას კი უფლებამოსილება 2014 წლის 1 იანვრამდე გაუხანგრძლივდა. 2014 წლის 27 იანვარს, მთავრობის №105 დადგენილებით, კომისიის წევრები ისევ შეიცვალნენ.

ცენტრ „ერთობაში“ აცხადებენ, რომ 2004-დან 2012 წლამდე, ნაციონალური ხელისუფლების დროს, კომისიას კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა მიმართ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალის დასათვლელად ერთი ქმედითი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, კომისიის სხდომა კი მხოლოდ 4-ჯერ ჩატარდა.

ლაშა გეგეჭკორი, „ერთობის“ მიმართულების კოორდინატორი: *„თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 30 აპრილის განჩინებაში განმარტა, რომ სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული ვალი სახელმწიფოს მიერ აღიარებულია და ვალის დაფარვის წესის შემუშავება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკისრია, რომელმაც გადაწყვეტილება პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან უნდა შეათანხმოს, თუმცა უწყება სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიით აპელირებს და აცხადებს, რომ ვალის დათვლა მიმდინარეობს“.*

ლაშა გეგეჭკორის ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით, 8000-მდე ოჯახია დაზარალებული. კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა უფლებების დაცვის წარმომადგენელი და საქმეზე მოსარჩელე **ბესო საღარაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალის შემსწავლელ კომისიას საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება არ აქვს:

„ეს კომისია მხოლოდ სათათბირო ორგანოა, რომელმაც მთავრობასა და პარლამენტს რეკომენდაციებით უნდა მიმართოს. 1998 წელს მიღებულ სახელმწიფო ვალის შესახებ კანონში წერია, რომ ანაზღაურების წესის შემუშავების ვალდებულება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს აკისრია. 2012 წელს დაწყებული სასამართლო დავის პირველი სასარჩელო მოთხოვნა იყო, ფინანსთა სამინისტროს ამ ვალდებულების შესრულება დავალებოდა, უზენაესმა სასამართლომ კი ქვემდებარე სასამართლოების ყველა გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა. წელს, ამავე მოთხოვნით, დავა კვლავ დავიწყე. მოპასუხეებად ჩავრთე საქართველოს მთავრობა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი. მესამე პირად მოვითხოვე შიდავალის შემსწავლელი კომისიის ჩართვა. 24 თებერვალს, პირველ მოსამზადებელ სხდომა ზე, მთავრობამ საკითხი დააყენა, მოპასუხეების სიიდან ამომრიცხეთ, არაფერ შუაში ვარო. სასწრაფოდ დავაყენე შემხვედრი შუამდგომლობა — მთავრობა მესამე პირის სტატუსით ჩართულიყო და ასეც მოხდა. მთავრობამ სასამართლოს განჩინება სააპელაციოში გაასაჩივრა, სააპელაციომ მთავრობას მესამე პირის სტატუსი კი გაუუქმა, მაგრამ დამატებაში ჩაწერა, რომ წესის შემუშავების კანონიერი ვალდებულება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს აქვს. 3 მაისს მივიღე სააპელაციოს განჩინება — საქმე საქალაქო სასამართლოში დაბრუნდა. განხილვა უნდა განახლდეს და მთავარი სხდომა ჩატარდეს, სადაც მოპასუხეებად დარჩნენ ფინანსთა სამინისტრო და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, მესამე პირად კი — სახელმწიფო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია“.

პირველ ინსტანციაში დავის მოგების შემთხვევაში, ბესო საღარაძე მოვლენების ორი ვარიანტით განვითარებას ელის: პირველი – წაგებული მხარე სასამართლო გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს და ფინანსთა სამინისტრო იძულებული გახდება, შეასრულოს ვალდებულება; მეორე — პირველ ინსტანციაში მოგებულ დავას ფინანსთა სამინისტრო სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს და საქმე უზენაეს სასამართლომდე მივა, სადაც მთავრობა პროცესს კვლავ წააგებს, რადგან, ბესო საღარაძის განმარტებით, მთავრობას სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, ვალდებულება არ შეასრულოს.

იმის გასარკვევად, რატომ არიდებს მთავრობა ვალდებულების შესრულებას თავს, „ვერსია“ ფინანსთა სამინისტროს დაუკავშირდა. ნოდარ ხადურის უწყებიდან გაჭიანურებულ პრობლემასთან დაკავშირებით ასეთი განმარტება მივიღეთ: *„ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის თაობაზე ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის 108 დადგენილებით შექმნილმა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელმა სახელმწიფო კომისიამ, ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, 2014 წლის 18 იანვრის სხდომაზე (ოქმი 6) მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვათ, შესაძლებლობის ფარგლებში მიაწოდონ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიაში წარსადგენად შემდეგი ინფორმაცია: მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ იმ მიწის ნაკვეთებსა და მას ზე არსებულ შენობა-ნაგებობებ ზე, რომელთა მშენებლობაც დაიწყო და არ დასრულებულა კოოპერატიული ბინათმშენებლობის ფარგლებში; მათ ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ იმ მიწის ნაკვეთებ ზე, რომლებ ზეც კოოპერატიული ბინათმშენებლობა ჯერ არ დაწყებულა; ზემოაღნიშნული ქონების (მიწის/შენობა-ნაგებობის), როგორც კანონიერი მესაკუთრეების, ასევე იმ პირთა შესახებ, რომლებსაც აღნიშნული ქონება არ აქვთ საკუთრებაში, თუმცა თვითნებურად ფლობენ მას.*

კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ასევე ეთხოვათ, განახორციელონ აღნიშნული ქონების (მიწა/შენობა-ნაგებობა) შეფასება/ტექნიკური ექსპერტიზა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე, ვერ შესრულდება სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება) აღიარებული სავალო ვალდებულება“.

ადვოკატი პროკურატურას ხონის დაკავებული გამგებლის წინააღმდეგ პოლიტიკურ ინტრიგაში ამხელს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მალე სასამართლო ხონის დაკავებული გამგებლისა და მოადგილის საქმის (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მითვისება და გაფლანგვა) არსებით განიხილავს დაიწყებს. ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე დარწმუნებულია, რომ ყველაზე სუბიექტური სასამართლოც კი იძულებული გახდება, ის უტყუარი მტკიცებულებები გაიზიაროს, რომელიც დაცვის მხარემ მოიპოვა. ადვოკატის შეფასებითვე, ზურაბ ჯიბუხაიას არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა და გადაწყვიტეს, უმთავრესი კონკურენტი ჩამოეშორებინათ.

— 2014 წლის 10 თებერვალს, სამართალდამცავმა ორგანოებმა ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზურაბ ჯიბუხაია, მოადგილე ბესარიონ ჭელიძესთან ერთად დააკავეს. მათ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილით (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მითვისება და გაფლანგვა) წარუდგინეს. საქმე 4 წლის წინ, ფინანსური პოლიციის მიერ კერძო პირისთვის ჩამორთმეულ უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეს ეხება, რომელიც ოფიციალურად, ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადაეცა. პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულებმა ხე-ტყე, სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაცვლად, საამქროებს გადასცეს.

პროკურატურის მტკიცებით, ჯიბუხაიას ე.წ. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაიფლანგა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით — 12 580,69 ლარის ქონება, რითიც არსებითად შეილახა როგორც მოქალაქეთა, ასევე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. საინტერესოა, საიდან ადგენს პროკურატურა მიყენებული ზიანის ოდენობად იმ თანხას, რაც ბრალშია მითითებული მაშინ, როდესაც საქმის გარემოებები სულ სხვა ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მიუთითებს?

— მაინც, რაზე მიუთითებს საქმის კონკრეტული გარემოებები?

— დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების მიხედვით, თავიდან ბოლომდე ინგრევა პროკურატურის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ზურაბ ჯიბუხაიამ თითქოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად, სახელმწიფოს დიდი ოდენობის ზარალი მიაყენა. ჯერ ერთი, სასამართლოზე ყველა დაინახავს, რომ პროკურატურა ვერ დაამტკიცებს ზურაბ ჯიბუხაიას მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს; ამასთან, გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს მიმართ მიყენებული სავარაუდო ზარალის ოდენობა უმნიშვნელოა.

— რას გულისხმობთ?

— აღნიშნული ხე-ტყე 2009 წელს მოჭრეს და ერთი წლის განმავლობაში ტყეში, ღია ცისქვეშ, კანგაუცლელ მდგომარეობაში ეყარა. შესაბამისად, აღნიშნული ხე-ტყე საშეშე მერქანი იყო და ის ზიანის ოდენობის განსაზღვრისას საშეშე მერქნისთვის დადგენილი ფასის მიხედვით უნდა შეფასდეს, რომელსაც უნდა გამოაკლდეს ტრანსპორტირების ხარჯი, რადგან საბაზრო ფასს მისი მოჭრის, ტრანსპორტირებისა და სხვა არსებული ხარჯები აკლდება. ქუთაისის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა დაცვის მხარის პოზიციას თავიდან ბოლომდე ადასტურებს. ამავე დასკვნით ირკვევა, რომ აღნიშნული საშეშე მორების ღირებულებამ 3615.1 ლარი შეადგინა, ტრანსპორტირებაზე გაწეულმა ხარჯმა კი 3098.7 ლარი. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ჯიბუხაიას დანაშაული არ ჩაუდენია, ზიანის ოდენობად უნდა ჩათვალოს არა გამოძიებაში მითითებული თანხა, არამედ, 516,45 ლარი. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სწორედ 515,45 ლარი იყო სავარაუდო ზიანი, რომელიც სახელმწიფოს მიადგა.

ასევე მოვიპოვეთ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ამბობს, რომ აღნიშნული ხე-ტყე „მოჭრიდან მხოლოდ სამი თვის განმავლობაში ინარჩუნებს სამასალე მერქნის ფუნქციას ტენიან პირობებში, ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდეგ, მერქანი კარგავს სამასალე ფუნქციას და საშეშე მერქანს წარმოადგენს“. მოგეხსენებათ, ტენიან პირობებში ხე უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე სიმშრალეში და, თუ ტენიან პირობებში ხე სამი თვის განმავლობაში დაკარგავდა სამასალე ფუნქციას, მშრალ პირობებში რა მოუვიდოდა? მით უმეტეს, თუ აღნიშნული ხე 12 თვის განმავლობაში ტყეში ეყარა? სხვათა შორის, გვაქვს ფოტოები, სადაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული ხე-ტყე იყო წვრილად დაჭრილი. წვრილად დაჭრილი ხე კი სამასალედ არ გამოდგება... ზემოაღნიშნულის გარდა, უამრავი სხვა მტკიცებულებაც გვაქვს, რომელიც ჩვენს ისედაც ძლიერ პოზიციას უფრო ამყარებს, თუმცა, ამ ეტაპზე, დაცვის მხარის ინტერესების გამო, მტკიცებულებებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. ისე, ჩვენს შუამდგომლობაზე, ზემოაღნიშნული საფუძვლის გამო შეცვლილიყო ზურაბ ჯიბუხაიას მიმართ წარდგენილი კვალიფიკაცია, პროკურატურამ დაუსაბუთებელი უარი განაცხადა. გამოძიებამ კარგად იცის, აღნიშნულის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი მტკიცება თავდაყირა დადგებოდა და, აქედან გამომდინარე, უარიც მოსალოდნელი იყო. პროკურატურამ არ გაიზიარა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც დიდი წვალებით მივიღეთ.

– რატომ წვალებით?

– აღნიშნული ექსპერტიზის ბიურო, გასაგები მიზეზების გამო, მაქსიმალურად შეეცადა, თავი აერიდებინა კითხვებისთვის. შეგახსენებთ, სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის დასკვნებს, როგორც უტყუარ მტკიცებულებებს, ისე იყენებს პროკურატურა ბრალდებულების საწინააღმდეგოდ. აღნიშნულ შემთხვევაში კი, როცა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა გამოვიყენეთ, პროკურატურამ არ გაიზიარა, თუმცა გამოძიების კარგად მესმის — ის ხომ ხავსს ეჭიდება და უდანაშაულო ადამიანისთვის არარსებული დანაშაულის დასამტკიცებლად ყველაფერზე მიდის.

პროკურატურას შანსი ჰქონდა, კანონიერი, ღირსეული გადაწყვეტილება მიეღო და არათუ კვალიფიკაცია შეეცვალა, არამედ, ზურაბ ჯიბუხაიას ქმედებაში დანაშაულის არარსებობის გამო, სისხლის სამართლებრივი დევნა საერთოდ შეეწყვიტა, მაგრამ ამას სასამართლო აუცილებლად გააკეთებს!

სირცხვილია, როცა სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენებას (თან დიდი ოდენობით!) იმ ადამიანს ედავებიან, რომელიც წლების განმავლობაში თავის რაიონსა და ხალხს თავდაუზოგავად ემსახურა. სახელმწიფო უნდა ამაყობდეს, რომ ჰყავდა ასეთი პატიოსანი და ღირსეული საჯარო მოხელე. ერთადერთი, ვისაც ზიანი მიადგა, სახელმწიფო კი არა, თვით ბრალდებული ზურაბ ჯიბუხაიაა, რომელიც თვეებია, უკანონო პატიმრობაშია.

— დაკავების რეალურ მიზეზად რას მიიჩნევთ?

— ჩემი აზრით, ვინაიდან არჩევნები ახლოვდებოდა, სადაც ბატონ ზურაბს გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა, გადაწყვიტეს, უმთავრესი კონკურენტი ჩამოეშორებინათ.

სუდოკუმანია

ადვილი

			8				6	
	3	4						8
			2				9	
	7	5		9			3	6
		8				2		
6	9			3		7	5	
	6				7			
9						5	7	
	8				4			

სტანდარტი

6	3	9						7
8					6			
						3		
			9	5		1	4	
			7		8			
	9	3		1	2			
		5						
			8					2
1						7	5	8

რთული

	2			1		8		
						9	5	
					4			
		6		4	3	2		8
	9	8	6		1	7	4	
7		3	2	9		6		
			1					
	6	9						
		1		7			3	

ექსპერტი

	2		1					
5				2				6
					4			9
8	5			4		9		
	6		7		3		2	
		7		6			5	4
7			8					
1				3				2
					5		3	

ახალდაქორწინებულები ცხოვრებას შეისწავლიან

საუდის არაბეთის ხელისუფლება აპირებს, სავალდებულო კურსები შემოიღოს დაქორწინების ყველა მსურველისთვის. საქმე ისაა, რომ ერრიადში მეტად შეშფოთებულები არიან ქვეყანაში განქორწინების მზარდი რაოდენობით. იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ქორწინების საკითხების კოორდინატორი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში საუდის არაბეთის ყველა ქალაქში ათასი ინსტრუქტორი გაიგზავნება, რომლებიც ახალგაზრდა წყვილებს ოჯახური ცხოვრების „ანბანს" შეასწავლიან. მომავალი მეუღლეებისთვის განკუთვნილი პროგრამა უახლოესი ორი წლის განმავლობაში განხორციელდება. არაბები ამ საქმეში მალაიზიის გამოცდილებას ეყრდნობიან, სადაც განქორწინების დონე 32-დან 7%-მდე დაეცა მას შემდეგ, რაც იქ მსგავსი პროგრამა აამუშავეს.

გამარჯვებულს განქორწინების ხარჯს აუნაზღაურებენ

„მწვანე კონტინენტზე" მეტად უჩვეულო კონკურსი ტარდება, რომლის ორგანიზატორიც ერთ-ერთი ავსტრალიური ჟურნალია მამაკაცებისთვის. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, კონკურსის მთავარი პრიზი უფასო განქორწინებაა. მეორე ნახევართან გაყრის ყველაზე დამაჯერებელი მიზეზისთვის გამოცემა გამარჯვებულ მამაკაცს 10 ათას დოლარს გადაუხდის იურისტების, სასამართლო ხარჯისა და სტრიპტიზიორთან ცეკვის ასანაზღაურებლად და იმის აღსანიშნავად, რომ თავისუფალ ცხოვრებას უბრუნდება. გამარჯვებულისთვის ჟურნალმა სხვა პრიზებიც დააწესა: სადღესასწაულო სამსართულიანი ტორტი, დამლაგებლის მომსახურება ორი თვით, პლაზმური ტელევიზორი და ჟურნალის ერთწლიანიგამოწერა.

სიმებად ადამიანის თმა გამოიყენეს

ლონდონელმა მხატვარმა ტადას მაქსიმოვასმა უჩვეულო გამოყენება მოუძებნა საკუთარ გრძელ თმას — მამაკაცმა ის ვიოლინოს სიმებად აქცია და მოვლენა სპეციალურად ქუჩის მუსიკის დღეს დაამთხვია. მხატვარი თავიდან საჭირო ზომის თმას იღებს და მისგან აუცილებელი სისქის „ძაფს" ქმნის. შემდეგ თმა განსაკუთრებულ დამუშავებას გადის უცნობი შემადგენლობის ხსნარში, რომელიც წებოს ჰგავს. მას შემდეგ, რაც მტკიცე გახდება თმა, ხემიან ინსტრუმენტზე გადაჭიმავს, უშუალოდ დაკვრის წინ კი ოსტატი აწყობს ვიოლინოს იდეალური ჟღერადობის მისაღებად. ამ პროექტით მხატვარი ცდილობს, დაუმტკიცოს საზოგადოებას, რომ, სურვილის შემთხვევაში მუსიკის აჟღერება ნებისმიერი რამისგან შეიძლება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

9	4	5	1	6	3	8	2	7
7	3	2	5	9	8	6	4	1
6	1	8	7	4	2	9	5	3
2	9	7	8	5	4	3	1	6
1	6	4	3	2	7	5	9	8
5	8	3	9	1	6	4	7	2
4	7	1	6	3	5	2	8	9
3	2	9	4	8	1	7	6	5
8	5	6	2	7	9	1	3	4

სტანდარტი

4	7	5	6	3	1	2	9	8
3	6	8	4	2	9	5	1	7
9	2	1	8	7	5	4	6	3
1	9	7	2	6	8	3	5	4
2	5	6	1	4	3	8	7	9
8	4	3	5	9	7	6	2	1
7	8	4	9	5	6	1	3	2
6	3	2	7	1	4	9	8	5
5	1	9	3	8	2	7	4	6

რთული

6	2	3	9	1	8	5	7	4
5	9	4	7	3	6	8	2	1
7	8	1	5	4	2	3	6	9
8	1	2	3	7	5	9	4	6
9	7	6	8	2	4	1	5	3
4	3	5	6	9	1	7	8	2
1	6	9	4	8	7	2	3	5
3	5	7	2	6	9	4	1	8
2	4	8	1	5	3	6	9	7

ექსპერტი

1	6	3	5	4	2	9	8	7
2	9	8	7	3	1	4	6	5
5	7	4	9	6	8	3	2	1
9	8	7	4	5	3	2	1	6
3	2	6	1	9	7	5	4	8
4	5	1	2	8	6	7	9	3
8	3	5	6	2	9	1	7	4
7	4	2	8	1	5	6	3	9
6	1	9	3	7	4	8	5	2

ადვილი

1	7	3	6	4	2	5	8	9
5	2	9	3	8	1	4	7	6
8	6	4	7	9	5	3	2	1
4	5	1	2	6	3	7	9	8
9	8	7	5	1	4	2	6	3
6	3	2	9	7	8	1	5	4
7	1	8	4	5	9	6	3	2
3	4	6	8	2	7	9	1	5
2	9	5	1	3	6	8	4	7

სტანდარტი

4	2	8	7	5	6	1	3	9
1	3	5	9	8	4	2	7	6
7	9	6	1	3	2	8	5	4
6	1	2	4	9	3	7	8	5
8	7	9	6	2	5	4	1	3
5	4	3	8	1	7	9	6	2
3	5	4	2	7	1	6	9	8
2	8	1	5	6	9	3	4	7
9	6	7	3	4	8	5	2	1

რთული

9	6	3	8	7	4	2	5	1
2	7	1	9	6	5	8	4	3
5	8	4	3	2	1	9	7	6
1	5	2	7	3	9	6	8	4
4	3	6	2	5	8	1	9	7
8	9	7	1	4	6	5	3	2
6	4	9	5	1	7	3	2	8
7	2	8	6	9	3	4	1	5
3	1	5	4	8	2	7	6	9

ექსპერტი

2	9	1	5	3	6	8	4	7
6	8	7	4	2	1	5	3	9
5	4	3	7	9	8	6	2	1
1	7	9	6	8	3	4	5	2
4	3	2	1	7	5	9	6	8
8	6	5	2	4	9	7	1	3
9	5	6	8	1	2	3	7	4
7	2	8	3	6	4	1	9	5
3	1	4	9	5	7	2	8	6

მე-10 გვერდი: 1. ჰერპეტოლოგია; 2. ალიზი; 3. კვირა; 4. ბალანსი; 5. გალა; 6. ვაშინგტონი; 7. ტემპერამენტი; 8. ლარიქსი; 9. გეენა; 10. ლევიათანი; 11. ბიაზი; 12. ზიუსკინდი; 13. ნოა; 14. მარკესი; 15. ველასკესი; 16. ზარბაზანა; 17. ყბა; 18. ინია; 19. არია; 20. ერქვანი; 21. ნაპალმი; 22. ბაზისი; 23. ასლი; 24. სე; 25. პოლი; 26. თირსოსი; 27. ხათუსა; 28. ანიელი; 29. აბასი; 30. კრკი; 31. ნომოგრამა; 32. მაიორი; 33. გრაცე; 34. „ენისელი"; 35. ბიეფი; 36. კისა; 37. კანიონი; 38. კამელია; 39. ნონა; 40. ტრიმარანი; 41. ტომ; 42. კაი; 43. ტენერიფე; 44. ლეკვი; 45. ლიდსი; 46. იონი; 47. კეტრინ; 48. სელი; 49. რაე; 50. ლა; 51. ეკი; 52. ოინი; 53. სუ; 54. ჯილი; 55. ვო; 56. გიიომ; 57. ნოე; 58. იოგი; 59. წიგნი; 60. ონი; 61. მაისი; 62. ალენ; 63. ჯა; 64. ნინძა.

მე-12 გვერდი: 1. ვეტერინარი; 2. საკურა; 3. ვოლანი; 4. ტომატი; 5. რებუსი; 6. სუვენირი; 7. კარლსონი; 8. „რენო"; 9. ინჟენიუ; 10. იკაროსი; 11. ბემოლი; 12. ვარანი; 13. არითმეტიკა; 14. სტაფილო; 15. ტარო; 16. სატინი; 17. ნასა; 18. ნიკი; 19. ადრიანე; 20. ედირნე; 21. ფოთი; 22. რუნი; 23. პრესტო; 24. აკირა; 25. პაპაია; 26. მილნი; 27. სისატურა; 28. ლუესი; 29. იასპი; 30. პოლ დევიდ ჰიუსონი; 31. კატო; 32. ტალინი; 33. ლანსიე; 34. ტილ; 35. ურიკა; 36. ორსეი; 37. სინი; 38. ადიდა; 39. საქოფონი; 40. სტოპ; 41. სოროსი; 42. იამამოტო; 43. ტრაპი; 44. ჯეკ; 45. ლირა; 46. კილიტა; 47. ტაფა; 48. ლიე; 49. „ვოლვო"; 50. ფრეგატი; 51. საფრა; 52. ბუკეტი; 53. სოლ; 54. ვისი; 55. ინი; 56. მენიუ; 57. იმაგო; 58. პაპი; 59. დარდი; 60. „მეტალიკა"; 61. რამი; 62. ბრი; 63. კორა; 64. დოუელი; 65. ყრუ; 66. ჰიუ; 67. გამა; 68. ბაო; 69. ბანოჯა; 70. რემა; 71. ფრე; 72. კაკადუ; 73. პო; 74. ილიე; 75. ტოტო; 76. სირ; 77. ნო; 78. ნბა; 79. ტარიელი; 80. რე; 81. „სონი"; 82. იტი; 83. ლილო.

1. ექვსწახნაგა სხეული, რომლის მოპირდაპირე წახნაგები ტოლი პარალელოგრამებია
2. წმინდა ოქრო
3. ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში
4. სულიერი განწმენდა, ამაღლება
5.მთიანი მხარე რუსეთში
6. ნორვეგიის ოლიმპიური ქალაქი
7.სისხლის პლაზმის შემადგენელი ნაწილი
8. ცნება ინდუიზმში, მატერიალური სამყარო
9.ფრანგი მწერალი
10. თსუ-ს დამაარსებელი
11. დიდი მაკრატელი, რომელსაც ცხვრის საკრეჭად იყენებენ
12. ბიბლიური აბრაამის მეუღლე
13. (ძვ.) დაბალი წრის წარმომადგენელი
14. ვიწრო და თხელი ფიცარი
15. „მონა ლიზას“ მხატვარი
16. შხამიანი გველი
17. კუშის წვნში მარილმჟავას უქონლობა
18. ... სეთური „დათა თუთაშხიაში“
19.მხარზე გადასაკიდი ნაჭრის ჩანთა
20.ამერიკ. დიზაინერი კაროლინა ...
21. წერილობითი თხოვნა, საჩივარი
22. დედის ან მამის დედა
23.შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო
24. თბილისის ერთ-ერთი უბანი
25. ქიმიური ელემენტი, მეტალი
26. საბანკო შეტყობინება
27. იაპონიის კუნძული
28. ბიბლიური მოსეს ძმა
29. რომის პაპის გვირგვინი
30.იტალ. დიზაინერი რობერტო ...
31. ველური კომში
32. „ოთახი“ მატარებლის ვაგონში
33. გველეშაპი, რომელიც ზევსმა დამარცხა და დააფარა ზევიდან ეტნის მთა
34. „სუპერმენის“ როლის შემსრ. მსახიობი
35.ინგლ. სიგრძის საზომი ერთეული
36. 366-დღიანი წელიწადი
37. აშშ-ის შტატი, რომლის სახელწოდება ინდიელთა ენაზე „კარგ ქვეყანას“ ნიშნავს
38.მსხვილ ფეოდალზე დამოკიდებ. მემამულე
39. წყალქვეშა კლდე
40. ცხენის გასარეკი მეძახილი
41.(საბა) ჩიტის მახე გალიის მსგავსი
42. ტრამვაის მძღოლი
43.მრეცხავი „ვერის უბნის მელოდიებში“
44. კანი ფრჩხილის ირგვლივ
45. ალ. მაკედონელის დედა
46. საფეხბ. კლუბი „...ვილა“
47. ღვთისმშობელის დედა
48. ნახევარგამტარული დიოდი
49. დედამამისშვილი
50. მწერალი ... მოსაშვილი
51. შურისძიების ქალღმერთი
52. ტიბეტის დედაქალაქი
53. მეფის უკანონო შვილი
54. ძველბერძენი ტრაგიკოსი
55. რაფიელ ერისთავის პიესა „... დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“
56. რუსული როკჯგუფი
57. კინორეჟისორი ... რიაზანოვი

გარდაცვლილს ტელევიზიის გადასახადს სთხოვდნენ

500 წლის წინ მცხოვრები ცნობილი გერმანელი მათემატიკოსის, ადამ რისის სახელზე ცოტა ხნის წინ უწყება მივიდა, რომელშიც ადრესატს ტელევიზიისა და რადიოს მოხმარებისთვის სალიცენზიო გადასახადის შეტანას სთხოვდნენ. მოთხოვნა რისის მიერ 1525 წელს შეძენილი სახლის მისამართზე გაიგზავნა. მას შემდეგ, რაც მათემატიკოსის თაყვანისმცემელთა კლუბის მეთაურმა გადასახადების ამკრეფ სააგენტოს შეატყობინა, რომ რისი 1559 წელს — რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამდე კარგა ხნით ადრე გარდაიცვალა, უწყება სახლში ხელმეორედ გაიგზავნა. როგორც გერმანული პრესა წერს, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა გადასახადების ამკრეფები შეტყობინებას დიდი ხნის გარდაცვლილებს უგზავნიან — ორიოდე წლის წინ შილერის სახელობის ერთ-ერთ სკოლას უწყება მიუვიდა, რომლის მიხედვითაც „სიხარულის ოდას“ ავტორს რადიოსა თუ ტელევიზორის დეკლარირება უნდა მოეხდინა და შესაბამისი გადასახადიც გადაეხადა, თვეში 17 ევროს ოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი 1805 წელს გარდაცვლილ ადამიანს სასამართლოთი ემუქრებოდნენ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ფეხის პლასტიკა მოდური ფეხსაცმლისთვის



ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო პოპულარულია ფეხის ტერფის პლასტიკური ოპერაციები — პლასტიკურ ქირურგებს ქალები მოდური ფეხსაცმლით აკითხავენ და სთხოვენ, ისეთო ფორმის ტერფი გაუკეთონ, რომ ნებისმიერი ფეხსაცმლის ჩაცმა შეძლონ. ბევრმა იცის, ალბათ, ძველ დროში ჩინეთში როგორ ამახინჯებდნენ გოგონებს, რათა ფეხის ზრდა შეეჩერებინათ, ფაქტობრივად, მომტვრეული ტერფის გამო, ისინი ნორმალურად ვერც დადიოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, სარფიანად თხოვდებოდნენ. როგორც ჩანს, ამ მხრივ, დრო ვერაფერს ცვლის და სუსტი სქესის წარმომადგენლები მზად არიან, სილამაზისთვის მსხვერპლი გაიღონ. ამერიკელი ქირურგები ყვებიან, როგორ უმოკლებენ ფეხის თითებს გოგონებს, რადგან გარკვეული „დეფექტი“ ხელს უშლის სასურველი ფეხსაცმლის მორგებაში. თავდაპირველად, ასეთ პლასტიკურ ოპერაციებს მოდელები მიმართავდნენ, რომელთაც უჭირდათ ჩვენებების დროს სხვადასხვა ფეხსაცმლის მორგება.

მსუქანი ბრიტანელები საფლავში ძვირს გადაიხდიან

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ახალი განკარგულება შედის ძალაში მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აქვს — ამიერიდან, მსუქნების დაკრძალვა 75 გირვანქა სტერლინგით ძვირი ეღირება. ასეთ გადაწყვეტილებამდე ბრიტანეთის ხელისუფლება სასაფლაოების თანამშრომელთა მიმართვის შემდეგ მივიდა — ისინი ჩიოდნენ, რომ მსუქანი ადამიანები გაცილებით მეტ ადგილს იკავებენ. ჯერჯერობით ,ახალი წესები მხოლოდ ბედფორდშირის საგრაფოში მოქმედებს, სადაც მძიმენონიანი მოქალაქის დამარხვა 194 გირვანქა სტერლინგი დაჯდება, გამხდარი მიცვალებულის პატრონს კი 129 გირვანქის გადახდა მოუწევს. როგორც ბრიტანეთის საბჭოს დამკრძალავი კომიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს ღონისძიება „აუცილებლობამ“ განაპირობა, რადგან სასაფლაოებზე ბოლო დროს ადგილის დეფიციტია.

სუდოკუმანია

ადვილი

			1	4				5
					2		8	
5		3			8	7		
8					4		1	
	3		2	6	9		4	
	5		3					6
		7	4			8		3
	9		8					
2				1	3			

სტანდარტი

					6	2	1	
2	8		7					
	4		2	3		8		
	5			4		7		1
		4				3		
6		2		7			4	
		8		5	1		2	
					7		8	9
	1	7	8					

რთული

						6	7	5
2	6	5			9			3
			2	4		5	8	
5			9		3			1
	9	8		7	6			
7			4			2	3	6
4	3	6						

ექსპერტი

				2	9			
	4			7		6	2	
	8	6						9
	7	5			6		1	
				1				
	1		2			7	6	
3						4	5	
	6	7		4			8	
			3	6				

„დაბეჭდილი" თაბაშირი სწრაფად კურნავს

თურქმა სტუდენტმა დენიზ კარაჰასინმა ტრავმატოლოგიაში ფურორი მოახდინა — სამგანზომილებიან პრინტერზე თაბაშირი დაბეჭდა, რომლის წყალობითაც მოტეხილობა 40%-ით სწრაფად ხორცდება, ვიდრე ჩვეულებრივი თაბაშირის გამოყენებისას. მკურნალობისას ულტრაბგერითი ვიბრაცია გამოიყენება, რაც სხეულთან ძალიან მჭიდრო კონტაქტისას ვლინდებოდა, მაგრამ ეს პროცედურა საკმაოდ მტკივნეული იყო, დაბეჭდილი პლასტმასის თაბაშირი კი კანის ტრავმირებულ ადგილს ღიად ტოვებს. ულტრაბგერის გენერატორები თაბაშირის კორპუსშია ჩამონტაჟებული, რაც მის ტარებას მოხერხებულს და მარტივს ხდის — არ არის საჭირო გამუდმებით რაღაცის გასწორება. თუმცა, ჯერჯერობით „დაბეჭდილი" თაბაშირი მხოლოდ პროტოტიპის სახით არსებობს, მაგრამ უნიკალური თვისებების გამო, სავსებით შესაძლებელია, მალე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს — უბრალოდ, საავადმყოფოში დადგამენ 3D-პრინტერს, რომელიც ამ საოცარ თაბაშირს საჭიროებისამებრ დაბეჭდავს.

წითელას ვირუსი კიბოს ანადგურებს



ამერიკელმა მედიკოსებმა მსოფლიო განაცვიფრეს: განაცხადეს, რომ კლინიკური საკონტროლო კვლევებისას ძვლის ტვინის უკურნებელი ონკოდაავადების მქონე პაციენტი განკურნეს — ექვსი თვეა პაციენტი რემისიაშია და ცოცხალი კიბოს უჯრედები არ შეინიშნება მას შემდეგ, რაც წითელას ვირუსის მხოლოდ ერთი დოზა შეუყვანეს. ვირუსი სპეციალურად შეიმუშავეს მიელომას პლაზმის უჯრედების გასანადგურებლად და ის ჯანმრთელ უჯრედებს საერთოდ არ ვნებს. ამერიკელი მეცნიერები მაიოს კლინიკიდან აცხადებენ, რომ ახალი მეთოდი შესანიშნავი მაგალითია ვირუსული თერაპიისა, რომელსაც სათავე დაედო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში, თუმცა მხოლოდ ბოლო შემთხვევისას მოხდა მეტასტატიკური დაავადების ოფიციალურად დადასტურებული სრული რემისია.

სასარგებლო და მავნე პროდუქტი

მოდით, გავარკვიოთ, რომელი პროდუქტია ყველაზე მავნე და სასარგებლო.

სასარგებლო: კარტოფილი და პარკოსნები — ორგანიზმს სახამებელს აწვდის. მისი შემცველი საკვები, გავრცელებული მოსაზრებების მიუხედავად, ნაკლები ცხიმიანობითა და დაბალკალორიულობით გამოირჩევა. შაქარსა და სიმსუქნეს შორის პირდაპირი კავშირი არ არის, თუმცა, უშაქრო სალეჭი რეზინის ან შაქრის შემცვლელების მოხმარება ასეთ დროს არ გვიშველის. ზოგჯერ ალკოჰოლს უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე ორ ნატეხ შაქარს. ხახვი არა მარტო აღნაგობისთვისაა სასარგებლო, არამედ პანაცეაა ყველა დაავადებისგან. ფაფა ნახშირწყლების წყაროა. ვინც მეტ ასეთ საკვებს და ნაკლებ ცხიმს მიირთმევს, უფრო ადვილად ხდება და რთულად იმატებს წონაში. ქიშმიში ყურძენზე მაღალკალორიული პროდუქტია, მაგრამ რკინის ძირითადი წყაროა. არაქისი ძალიან ცხიმიანია, მაგრამ მას ორგანიზმი ადვილად ითვისებს, გვანაყრებს და თან გულის დაავადებების რისკს 20%-ით ამცირებს. ძეხვი, განსაკუთრებით კი მოხარშული, დაუმსახურებლად „დაზარალდა". მასში სასარგებლო ნივთიერება ცოტაა, მაგრამ აღნაგობას ნაკლებად ვნებს. პური და მაკარონი ზომიერი რაოდენობით ასევე სასარგებლოა ორგანიზმისთვის. გოგრაში კი დიდი რაოდენობით C ვიტამინი და ბეტაკაროტინია, რომლებიც ორგანიზმს სიმსივნისგან იცავს.

მავნე პროდუქტში, რაც უნდა გასაკვირი იყოს, სალათის ფურცლებიც შედის. ის პრაქტიკულად არ შეიცავს კალორიას, მაგრამ მას უმად ნაკლებად მოიხმარენ, სოუსებში კი ძალიან ცხიმიანია. ნუ მიირთმევთ შოკოლადის ბატონსაც — მართალია, ასე ადვილად წაიხემსებთ, მაგრამ ბევრი შაქარი და ქიმიური დანამატი მაღალ კალორიულობას უზრუნველყოფს. თევზში არანაკლები ცხიმია, ვიდრე შაშხში. ნურც გაზიან სასმელს მიეტანებით — წყურვილს კი არ კლავს, პირიქით, განდომებთ წყლის, თანაც შაქრის დიდი შემცველობით გამოირჩევა. მავნეა ალკოჰოლიც — მისი მცირე რაოდენობით მიღებაც კი ხელს უშლის ორგანიზმის მიერ ვიტამინების ათვისებას, თანაც, მაღალკალორიულია. ბევრისთვის საყვარელი სალათების შესაკმაზი მაიონეზი ყველაზე ცხიმიან პროდუქტს მიეკუთვნება, რომელიც ნებისმიერ კერძს მაღალკალორიულს ხდის. უკეთესი იქნება, თუ მის მირთმევაზე უარს იტყვით. ნურც კეტჩუპებს მიეძალებით — თითქოსდა არც ისე კალორიულია, მაგრამ რეალურად ყველა მწარე საკმაზი, მათ შორის კეტჩუპიც მკვეთრად ართულებს საკვების გადამუშავებას. „მსუბუქ" იოგურტს რატომღაც დიეტურად მიიჩნევენ და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდაც თვლიან, გასახდომადაც იყენებენ, თუმცა ფრანგი ექიმების თქმით, მისგან შეიძლება სრულიად საპირისპირო ეფექტი მიიღოთ — შიმშილის გრძნობას არ გიქარვებთ და უფრო მეტის ჭამა გინდებათ.

მზისგან დამცავი დასალევი კრემი შექმნეს

მზისგან დამცავი ტრადიციული კრემების ეპოქა, შესაძლოა, დასრულდეს, რადგან ცოტა ხნის წინ ბაზარზე გასაყიდად გამოვიდა გასარუჯი ლოსიონი, რომელიც უნდა დალიოთ. ერთხელ გამოყენების შემთხვევაში ლოსიონი ულტრაიისფერი სხივებისგან სამსაათიან დაცვას უზრუნველყოფს. ცნობილია, რომ მზისგან დამცავი კრემები საიმედოდ იცავს ადამიანს დამწვრობისა და კანის კიბოსგან, თუმცა ზოგი არ იყენებს მას გარკვეული უხერხულობის გამო. ასეთი კრემები სულ უნდა ისვა კანზე და ბანაობის შემდეგაც ამ პროცედურის განმეორებაა საჭირო, რადგან წყალი მას უბრალოდ ჩამორეცხავს. ზოგი გამუდმებით დაატარებს პლაჟზე ამ კრემებს, ზოგსაც ხშირად ავიწყდება მისი წაღება. ამერიკულმა კომპანიამ Osmosis Skincare პირველი მზისგან დამცავი კრემი გამოუშვა, რომელიც დასალევია და არა წასასმელი, Harmonised Harmonised H20 UV-ის შემქმნელები გვარწმუნებენ, რომ ლოსიონი საშუალებას იძლევა, მზის აბაზანები დიდი ხნის განმავლობაში მიიღოთ და თან არ დაიწვათ. როგორც კი ეს პროდუქტი ორგანიზმში ხვდება, მისი თხევადი მოლეკულები კანში აღწევს და მავნე ულტრაიისფერი სხივების 97%-მდე ბლოკავს. გასაყიდად გამოტანილია კრემის ორი სახეობა – გარუჯვისთვის და მის გარეშე. მწარმოებლები მიუთითებენ, რომ მზეზე ყოფნისას, ყოველ 4 საათში 2 მლ ლოსიონი უნდა მიიღოთ.

ტელეკომპანია ,,თრიალეთი"
რეკლამა ,,თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით
032 239 38 23
599 25 13 31
www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge
თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

1. პელეს მშობლიური საფეხბურთო კლუბი
2.უძველესი ინგლისურენოვანი ენციკლოპედია
3.ბავშვებში D ვიტამ. ნაკლ. გამოწვეული დაავადება
4. დალაილამას ქვეყანა
5.ფიზიკური მოძწიფების აჩქარება მოზარდებში
6. ცეკვის მფარველი მუზა
7. იაპონური არაყი
8. თვე, რომლის ძველქართული სახელიდებაა ღვინობისთვე
9. ქანქარას უდიდ. გადახრა წონასწ. მდგომარეობიდან
10.ქართული ხალხური „პაპმერსი“
11. ცხელი და მშრალი ქარი ხმელთაშუაზღვისპირეთში
12. ადამიანის-მსგავსი მაიმუნი
13.ტროპიკ. მცენარე, საფეიქრო ბანანი
14.ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაურული სახელი
15. თანამედროვე ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი
16. დღეის წინა დღეს ანუ ...
17. კოვბოის ქამანდი
18. მენდელეევის მეცნიერება
19. გერმანული მოდების კატალოგი
20.ვალტერ სკოტის ერთ-ერთი რომანი
21. ძიუდოს დამფუძნებელი
22.საფურისი „სიბრძნე სიცრუისაში“
23.მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ალმასი
24. ვაზების მწკრივი ვენახში
25. მთავარი საწყობი
26. ქალაქი ავსტრიაში
27. ბრაზილიელი სუპერმოდელი, Victoria's secret-ის ერთ-ერთი ანგელოზი
28. შოტლანდიის ეროვნული გმირი
29. სინათლის სიკაშკაშის ერთეული
30. ქალაქი საფრანგეთში
31. ხელოვნური ქვა, სამენი მასალა
32.მამალი ცხვარი, ვერძი
33. პლანეტის მცირე ნატეხი
34. ჩინეთის ისტორიული რეგიონი
35. ხელის საგრილობელი
36. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“
37. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
38.ჯოყოლას ცოლი „სტუმარმასპინძელში“
39. კოვბოების შეჯიბრება
40. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
41. განსაკუთრებული ნიჭი
42. იგივეა, რაც მინანქარი
43. ძველებური სურნელოვანი ნივთიერება
44.სამხრეთამერიკული წიწვოვანი ხე
45. ფრანგი დიზაინერი
46. ხელისგული თითებიანად
47. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი
48. პატარა რესტორანი
49. სათევზაო გრძელი ჯოხი რკინის კავით
50. ვოლტერის ნამდვილი გვარი
51. მეტყველების ნაწილი გრამატიკაში
52. სატრფიალო პოეზიის მუზა
53. აღმოსავლური დილის ჰანგი
54.ქართული ანბანის პირველი ასო
55. გიორგი დანელიას ფილმი
56. ცეცხლის მნათი ნაწილი
57.ვარდენის ქალიშვილი „უდიპლომო სასიძოში“
58. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
59. ოთახის დეკორატიული ყვავილი
60. ფიჭვი-სებრთა ოჯახის მცენარე
61. ბურთის ოსტატური ტარება ფეხბურთში
62. აშშ-ის ექსპრეზიდენტი ... კლინტონი
63. ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტი
64.ქიმიური ელემენტი, რბილი ლითონი
65. წილი საერთო საქმეში
66. ოქროს ურდოს სარდალი
67. მაყურებელთა შეძახილი კონცერტზე, გამოხატავს ნომრის გამეორების თხოვნას
68.იტალიის ყოფილი ეროვნული ვალუტა
69.გრძელი ოთხთვლიანი სამგზაური ეტლი
70. საბჭოთა კავშირის აბრევიატურა
71. დიდი ჩაქუჩი
72. მადრიდის სამხატვრო მუზეუმი
73. მომღერალი ... სეფაშვილი
74. იგივეა, რაც ბოლი
75. შალის საპალტოე ქსოვილი
76. ცხელი მატონიზირებელი სასმელი
77. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
78.სხეულის წინა ნაწილი ლავიწებიდან მუცლამდე
79. დრამატული სახე, რომელსაც მსახიობი განასახიერებს სცენაზე

მოპარულ ფულს პატრონთან ინახავდა

უჩვეულო რამ შეემთხვა გერმანელ მძარცველს ქალაქ დორტმუნდიდან — იშვიათი მონეტების კოლექცია მოიპარა და რამდენიმე დღის შემდეგ შესანახად ბანკში მიიტანა. ბანკის თანამშრომელი კი, რომელიც მოემსახურა, სწორედ ის ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც ეს კოლექცია მოპარა. ბუნებრივია, პატრონმა დაკარგული ქონება ამოიცნო და ამ ინციდენტის შემდეგ სამართალდამცავებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ დამნაშავის დასაკავებლად.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.